პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი
№ 275 (12483)

პარასკევი, 23 ნოემბერი, 1962 წ.

ფასი 2 კაპ.

# საინფორმაციო ცნობა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1962 წლის 22 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გრძელდებოდა განხილვა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა „სსრ კავშირის ეკონომიკის განვითარება და სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობა“.

დილის სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: ი. ტ. ნოვიკოვი (სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მინისტრი), ზ. ნ. ნურიევი (სკკპ ბაშკირეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი), ა. ვ. გიტალოვი (უკრაინის სსრ კიროვოგრადის ოლქის სკკპ XX ყრილობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი), შ. ს. ბორიაჩევი (სკკპ ნოვოსიბირსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი), ვ. ა. ლავრენტიევი (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების თავმჯდომარე), ვ. ს. ფედოროვი (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ქიმიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე), ბ. ოვეზოვი (თურქმენეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი), ლ. ე. ბრაჟნოვი (ყემეროვოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე), ტ. უსუბალიევი (ყირგიზეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი), ს. პ. პავლოვი (სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი).

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: ნ. ვ. ფედორჩენკო (ალტაის ტერიტორიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი), ნ. ვ. მელნიკოვი (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სათბობის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე), ა. ი. კელშე (ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი), ნ. ი. ბელაში (გუტაოსკის საბჭოთა მეურნეობის მეღორე, ნოვოსიბირსკის ოლქი), ა. ი. სნეჩარსი (ლატვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი), ვ. ე. ბოიკო (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შავი და ფერადი მეტალურგიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი განაგრძობს მუშაობას.

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

# ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა

### (საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი)

**ამხანაგებო!** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს პლენუმი ახალი ეტაპია საბჭოთა სახელმწიფოს განვითარებაში, ახალი მკაფიო ნიშანსვეტია ისტორიული ბრძოლისა კომუნიზმის აშენებისათვის ჩვენს ქვეყანაში.

პარტიის საქმის, მისი ლენინური კურსის სისწორის ღრმა რწმენით არის გამსჭვალული მთელი საბჭოთა ხალხის — კომუნისტური საზოგადოების შემოქმედისა და მშენებლის შეგნება, რადგან ყველა საბჭოთა ადამიანი ყოველდღიურად, ყოველ საათში ხედავს, თუ პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, მისი მაორგანიზებელი როლის მეოხებით რა წარმატებით ხორციელდება დიადი ლენინური წინასწარდასახულობანი, ხედავს, რომ სულ უფრო სრულად და უხვად კმაყოფილდება ხალხის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი.

ჩვენი პარტია და მთელი მრავალმილიონიანი, მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი ახლა უფრო ერთიანი არიან, ვიდრე ოდესმე.

უდიდეს ინტერესსა და ყურადღებას იჩენენ ჩვენი ქვეყნის მშრომელები ამ პლენუმისადმი, რომლის დღის წესრიგში დგას აქტუალური საკითხი — სსრ კავშირის ეკონომიკის განვითარება და სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობა.

ჩვენ კომუნიზმისაკენ მივდივართ უკვალავი გზებით. ყოველ დღე ჩვენს წინაშე აყენებს სულ ახალ და ახალ, ზოგჯერ მეტად რთულ საკითხებს როგორც ჩვენი სახელმწიფოს საშინაო ცხოვრების დარგში, ისე საგარეო პოლიტიკის დარგშიც. ამიტომ მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო ის, რაც ახასიათებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის ლენინურ სტილს, რაც სკკპ ისტორიული XX ყრილობის შემდეგ ჩვენი დროის შესანიშნავი ტრადიცია გახდა, — ეს არის მუდმივი ცოცხალი კავშირი ხალხთან, კომუნისტური მშენებლობის ძირეული პრობლემების ფართო საყოველთაო-სახალხო განხილვა. და ეს არის ჩვენი ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის უდიდესი, ფასდაუდებელი დამსახურება პარტიისა და ხალხის წინაშე. ახლაც პლენუმზე ნიკიტა სერგასძე ხრუშჩოვის შესანიშნავ მკაფიო მოხსენებაში ერთხელ კიდევ განსაკუთრებული ძალით და დამაჯერებლობით ხაზგასმულია, რომ საჭიროა პარტიის მუდმივი კავშირი ხალხთან. და ჩვენ ყველას კარგად გვესმის, რომ ეს არის ჩვენი ძალა და უძლეველობა. ეს გვაძლევს გარანტიას, რომ არ დავუშვათ შეცდომები.

პარტიისათვის, მისი ცენტრალური კომიტეტისათვის უცხოა დოგმატიზმის სულისკვეთება, რომელსაც საერთო არა აქვს რა მარქსიზმ-ლენინიზმის ცხოველმყოფელ მოძღვრებასთან. მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც მოწყვეტილი არიან ცხოვრებას, მყვირალა ფრაზებით ჩქმალავენ თავიანთ იდეურ სიცარიელეს, ჯიუტად ებღაუჭებიან დოგმას. და ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ აღგავა ცხოვრებამ და აღგვის ისტორიის გზაზე ყველა ჯურის დოგმატიკოსებსა და მედავითნეებს.

საკმარისია გავიხსენოთ სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნა. ხომ იყვნენ ისეთნი, — მათი დასახელებაც კი არ ღირს, — რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ პარტიის ამ ღონისძიებას. რას ემყარებოდა მათი ანტიპარტიული პოზიცია? პიროვნების კულტის დოგმატურ რწმენას, ხალხისადმი, მასსადმი რწმენის უარყოფას.

5 წელმა განვლო. სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, როგორც მართვის ფორმამ, მთლიანად და საგსებით გაამართლეს თავიანთი დანიშნულება. ამას ადასტურებს ის, რომ საბჭოთა კავშირის მრეწველობა მთლიანად წარმატებით ასრულებს შვიდწლიან გეგმას, სწრაფად ვითარდება თვითეული მოკავშირე რესპუბლიკის მრეწველობა. სახალხო მეურნეობის საბჭოს შექმნის შემდეგ საქართველოში ერთხელვარ ჯერ და მეტად გადიდდა სამრეწველო პროდუქციის მოცულობა, ხოლო მმართველობის აპარატი შემცირდა.

ამ წლების განმავლობაში აშენდა ბევრი ახალი დიდი საწარმო, შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები: ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთსამშენებლო, რადიოტექნიკური და სხვ. რაც მთავარია, გაიზარდნენ მრეწველობის ორგანიზატორთა შესანიშნავი კადრები. აი ცენტრალური კომიტეტის შორსმჭვრეტელი ლენინური პოლიტიკის თვალსაჩინო ილუსტრაცია.

სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნა გაბედული, ჭეშმარიტად რევოლუციური ღონისძიება იყო. და უნდა ითქვას, რომ მრეწველობის მართვის ეს ახალი ფორმა ჯერ კიდევ არ არის ამოწურული, ჩვენ ჯერ კიდევ არ გამოგვიყენებია ყველა მისი უპირატესობა.

სკკპ XXII ყრილობის შემდეგ პარტიის, საბჭოთა მთავრობის დახმარებით რესპუბლიკაში უზრუნველყოფილია მრეწველობის შემდგომი განვითარება. მიმდინარე წლის 10 თვეში გამოშვებულია 10 პროცენტით მეტი პროდუქცია, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. მრეწველობის ზრდის ტემპები ოთხი წლის განმავლობაში წინ უსწრებს შვიდწლედის საკონტროლო ციფრებს. ყრილობის შემდეგ განვლილი წელი ჩვენს რესპუბლიკაში დიდ ახალშენებათა წელი იყო. მწყობრში დგება ახალი საამქროები და საწარმოო ობიექტები დიდი ქმიის საწარმოებში. დიდი მუშაობა სრულდება ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენის აგებისათვის, რაც განსაკუთრებით ძნელ პირობებში ხორციელდება. ფართო ფრონტით გაიშალა ენერგიის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. ეს ტექნიკური გადაწყვეტით უნიკალური ელექტროსადგური მოგვცემს მეტ ენერგიას, ვიდრე საქართველოს ყველა ამჟამად მოქმედი ელექტროსადგური.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებმა ვადამდე შეასრულეს საერთო პროდუქციისა და უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების 10 თვის გეგმა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია კოქსი, ფოლადი, თუჯი, მარგანეცი, ცემენტი, ფოლადის მილები, ლითონსაჭრელი ჩარხები და სხვა პროდუქცია. გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება.

ამავე დროს რესპუბლიკის ზოგიერთი საწარმო სისტემატურად ვერ ასრულებს სახელმწიფო გეგმასა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ ცოტა ხნის წინათ განიხილა ჩამორჩენილ საწარმოთა საკითხი და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მათი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ცენტრალური კომიტეტის, მთელი პარტიის ასეთივე უდიდესი მნიშვნელობის ღონისძიება იყო სოფლის მეურნეობის მართვის სისტემის გარდაქმნა. საწარმოო-ტერიტორიული სამმართველოების მცირე პერიოდის საქმიანობამაც კი ცხადყო ამ ახალი ორგანიზაციების მთელი მიზანშეწონილობა და სიცოცხლისუნარიანობა. მათს მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. ზოგან შერჩეული არიან შეუფერებელი ადამიანები, საწარმოო სამმართველოების ჯერ კიდევ ყველა მუშაკს როდი ესმის სწორად თავისი როლი, ზოგიერთი იჩენს კანცელარიულ-ბიუროკრატიულ სტილს მუშაობაში. მაგრამ ყოველივე ამის გამოსწორება შეიძლება. მთავარია ის, რომ ძირითადი შემადგენლობა კარგი ადამიანებია, რომ შექმნილია ორგანიზაცია, რომელსაც მთელი თავისი მუშაობის ცენტრში აქვს უაღრესად საწარმოო საკითხები და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნამდვილი ორგანიზატორია, რომლის აზრს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ანგარიშს უწევენ არა ფორმალურად, არამედ არსებითად.

თავის ბარათში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი სადმი ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი სავსებით სწორად და დროულად აყენებს საკითხს, რომ საჭიროა გულდასმით გავუკეთოთ ანალიზი თვითეული საწარმოო სამმართველოს მუშაობას, შევაჯამოთ მათი საქმიანობის შედეგები, ყურადღებით და ღრმად გავარკვიოთ საქმის ვითარება თვითეულ კოლმეურნეობაში, თვითეულ საბჭოთა მეურნეობაში.

ახლა ნამდვილად არის ორგანიზაცია, რომელსაც შეიძლება პასუხი მოეთხოვოს სოფლის მეურნეობაში საქმის ვითარებისათვის არა ზოგადი კანცელარიული ანგარიშგების, არამედ საქმის ფაქტიური მდგომარეობის მიხედვით. ჩვენ ღრმად დავრწმუნდით, რომ საწარმოო სამმართველოების სახით გვაქვს ისეთი ძლავრი ბერკეტი, რომელიც ნამდვილად უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრ აღმავლობას.

მე არ მოვიყვან ყველა მონაცემს, რომლებიც ახასიათებენ მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგებს. წელს რესპუბლიკამ არცთუ ცუდ ძაჩვენებლებს მიაღწია სოფლის მეურნეობის მთავარ, წამყვან დარგში — მეჩაიეობაში. უნდა ითქვას, რომ ეს უაღრესად შრომატევადი კულტურაა.

საქართველოს მეჩაიეებმა ჩაის კრეფაში ძიაღწიეს მიჯნას, რომელიც შვიდწლედის საკონტროლო ციფრებით განსაზღვრულია 1965 წლისათვის, და ქვეყანას მისცეს 170 ათას ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი.

და ამ წარმატებაში უთუოდ უდიდესი ორგანიზატორული როლი შეასრულეს საწარმოო სამმართველოებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა. არ უნდა დავიწყოთ, რომ ჩაის კრეფა ჯერჯერობით ხელით წარმოება. საჭირო იყო მოგვეწყო და გაგვეძლიერებინა რამდენიმე ასეული ათასი ჩაის მკრეფავი ქალის შრომითი აქტივობა მაისიდან ოქტომბრამდე განვლილ პერიოდში.

შეგვიძლია განვუცხადოთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს, რომ ჩაის კრეფის მიღწეული დონე ზღვარი არ არის და პარტიისათვის მიცემულ სიტყვას, რომ მოვკრეფთ 200 ათას ტონა ჩაის ფოთოლს, უთუოდ შევასრულებთ, 1965 წლისათვის არც ეს იქნება ზღვარი.

მიმდინარე წელს კარგი შედეგები მოიპოვეს რესპუბლიკის მევენახეებმაც, რომლებმაც სახელმწიფოს მიჰყიდეს 200 ათას ტონაზე მეტი ყურძენი, ესე იგი 2,5-ჯერ მეტი, ვიდრე 1953 წელს. რესპუბლიკა შეასრულებს სახელმწიფოსათვის დაფნის, ხილის, ციტრუსების მიყიდვის ვალდებულებებს, შეასრულებს მეცხოველეობის პროდუქციის მიყიდვის გეგმას.

მიუხედავად მიმდინარე წლის განსაკუთრებით ძნელი, გვალვიანი პირობებისა აღმოსავლეთ საქართველოში, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საწარმოო სამმართველოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უზრუნველყოფენ პირუტყვის გამოზამთრებას და არ დაუძვებენ მეცხოველეობის განვითარების ძირითად ძარღვებელთა შემცირებას.

შეიძლება მოვიყვანოთ საწარმოო სამმართველოების კარგი ინიციატივის ბევრი მაგალითი. მაგალითად, გურჯაანის ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს თაოსნობით სოფელ ველისციხის კოლმეურნეობის აგრონომები და ზოოტექნიკოსები სამუშაოდ გადავიდნენ უშუალოდ ბრიგადებსა და ფერმებში. მათი მაგალითის მიხედვით ამჟამად რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის 300-ზე მეტი სპეციალისტი ჩაუდგა სათავეში საწარმოო ბრიგადებსა და ფერმებს.

თეთრი წყაროს საწარმოო სამმართველომ, რომელმაც გადასინჯა ზონის საბჭოთა მეურნეობებში ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის მუშაკთა დასაქმება, შეამცირა იგი 89 კაცით. ამ მაგალითის მიხედვით საქართველოს საბჭოთა მეურნეობებმა შეამცირეს 1.620 კაცი, რითაც დაზოგეს ხელფასის წლიური ფონდის 765 ათასი მანეთი.

დიდ მუშაობას ეწევიან საწარმოო სამმართველოები წვრილი და ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობების განსამტკიცებლად.

უფრო კონკრეტული ხელმძღვანელობის შედეგად უკვე მიმდინარე წელს საბჭოთა მეურნეობების დიდი ნაწილი სამეურნეო წელს მოგებით დაამთავრებს.

უნდა ითქვას, რომ საგარეუბნო სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობების შექმნა ამართლებს თავის დანიშნულებას. ამ საბჭოთა მეურნეობებს მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ, ისინი უნდა იყონ დიდი ქალაქების რძით, ფრინველით, ბოსტნეულით, ხილით მომარაგების ძირითადი წყარო.

მაგალითად, შარშან ქალაქ თბილისის საგარეუბნო რაიონში რამდენიმე კოლმეურნეობის ბაზაზე შექმნა ყაჩაღნის მერძევეობა-მებოსტნეობის დიდი საბჭოთა მეურნეობა, რომლის მიწის ფონდი 15 ათას ჰექტარს აღემატება. უფრო უნარიანი ხელმძღვანელობის შედეგად ორი წლის განმავლობაში მარცვლის მოსავლიანობა, ყოფილ კოლმეურნეობათა მოსავლიანობასთან შედარებით, 1,5-ჯერ და მეტად გაიზარდა, თამბაქოსი — 1,8-ჯერ, ბოსტნეულისა — 1,5-ჯერ. მნიშვნელოვნად გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება. მიმდინარე წელს საბჭოთა მეურნეობა დიდი მოგებით ამთავრებს.

ეს ადასტურებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის იმ მითითებათა სისწორეს, რომ დიდი ქალაქების გარშემო შეიქმნას საბჭოთა მეურნეობები, რათა სამრეწველო ცენტრები მოამარაგონ რძით, ბოსტნეულით, ხილით.

ცენტრალურმა კომიტეტმა სამართლიანად გაგვაკრიტიკა იმისათვის, რომ ნელია საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების ტემპები, რომ სოფლის მეურნეობის ცალკეული პროდუქტების წარმოებაში ჯერ კიდევ აცილია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წილი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაწვრილებით გაარკვია ეს საქმე და არცთუ ისე დიდი ხნის წინათ პლენუმზე სოფლის მეურნეობის მუშაკთა ფართო აქტივის მონაწილეობით განიხილა საკითხი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ. პლენუმმა გამოიტანა გადაწყვეტილება — გადაისინჯოს შვიდწლედის საკონტროლო ციფრები იმ თვალსაზრისით, რომ გადიდდეს სოფლის მეურნეობის ცალკეული პროდუქტების წარმოება. მაგალითად, რესპუბლიკის ვენახების ფართობი 1965 წლისათვის გადიდდება 155 ათას ჰექტარამდე. ეს ნიშნავს იმას, რომ სამ წელიწადში უნდა გავაშენოთ 63 ათასი ჰექტარი ვენახები. ასეთივეა ბაღების მდგომარეობა, გავაშენებთ 51 ათას ჰექტარ ბაღებს. დაფნის პლანტაციები გადიდდება 4 ათასი ჰექტარით, ჩაისა — 10 ათასი ჰექტარით და მეტად, ციტრუსოვანთა — 4 ათასი ჰექტარით. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ძროხის სულადობა ამ ვადაში თითქმის ერთიორად უნდა გაიზარდოს. ჩვენს პირობებში ეს უდიდესი სამუშაოა. იგი, რა თქმა უნდა, თავს იჩენს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებია პროდუქციის მნიშვნელოვანი გადიდებით.

პარტიის ისტორიულმა XXII ყრილობამ დასახა ამოცანა — შექმნათ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამ ამოცანის შესრულება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ სწრაფად განვითარებთ ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალებს, უზრუნველვყოფთ ტექნიკურ პროგრესს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მკვეთრად გავზრდით შრომის ნაყოფიერებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენთვის, კომუნისტებისათვის, სამეურნეო ხელმძღვანელობის საკითხს განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება. კომუნისტური მშენებლობის წარმატების ბედი წყდება ფაბრიკაში, ქარხანაში, მშენებლობაზე, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში. იქ უნდა გადავიტანოთ ჩვენი ორგანიზაციული, მასობრივ-პოლიტიკური, აღმზრდელობითი მუშაობის მთელი ცენტრი.

პარტიული ორგანოების ახლანდელი სტრუქტურა არ აძლევს მათ შესაძლებლობას კონკრეტულად და ღრმად იმუშაონ სამრეწველო წარმოების განვითარებაზეც და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაზეც. ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ დებულებებს, რომლებიც გამოთქვა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომ ახლა ძველი ორგანიზაციული ფორმები, გარკვეული აზრით, უკვე აფერხებენ წარმოებისადმი პარტიის ხელმძღვანელობის საქმეს. ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ და მხარს ვუჭერთ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადებებს პარტიული ორგანოების ახალი სტრუქტურის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა და სკკპ ცენტრალურ კომიტეტში წარადგინა ღონისძიებანი პარტიული ორგანოების ორგანიზაციული გარდაქმნის შესახებ, რომელიც მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს ამ პარტიული ორგანოების როლისა და პასუხისმგებლობის შემდგომ გადიდებას რესპუბლიკის ეკონომიკის ხელმძღვანელობისათვის, საშუალებას მისცემს უფრო კონკრეტულად და ოპერატიულად გადაჭრან სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ზრდის საკითხები.

იმისათვის, რომ მტკიცედ გავმიჯნოთ მრეწველობის ხელმძღვანელობა და სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობა, გავბადოთ იგი უფრო კონკრეტული და კვალიფიციური, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიქმნას ცალკეული პარტიული კომიტეტები, რომლებიც იმუშავებენ მრეწველობის ხელმძღვანელობის საკითხებზე, და პარტიული კომიტეტები, რომლებიც იმუშავებენ სოფლის მეურნეობის საკითხებზე.

ამჟამად რესპუბლიკაში არის 64 სასოფლო რაიონი და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 21 საწარმოო ტერიტორიული სამმართველო. საწარმოო სამმართველოთა მუშაობის გამოცდილებამ ცხადყო, რომ საჭიროა ამ სამმართველოთა ერთგვარი დაწვრილერთეულება. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია 21 სამმართველოს ნაცვლად იყოს 25 საწარმოო სამმართველო. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია გავამსხვილოთ არსებული ადმინისტრაციული რაიონები, ე. ი. 64 სასოფლო რაიონის ნაცვლად იყოს 25 გამსხვილებული სასოფლო ადმინისტრაციული ერთეული საწარმოო სამმართველოთა რიცხვის შესაბამისად.

გარდა 25 გამსხვილებული სასოფლო ადმინისტრაციული ერთეულისა, მათ ტერიტორიაზე გაზრახულია დარჩეს რამდენიმე ამჟამად არსებული რაიონი, რომლებიც მდებარეობს მაღალმთიან და ძნელად მისადგომ ადგილებში. ამ რაიონების პოლიტიკური ცხოვრების ხელმძღვანელობისათვის საჭიროდ მიგვაჩნია პარტიული კომიტეტები დავუქვემდებაროთ მესაბამის საწარმოო სამმართველოთა პარტიულ ორგანოებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის კონკრეტული პარტიული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფისათვის მიზანშეწონილად მიაჩნია რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიქმნას 12 პარტიული კომიტეტი სამრეწველო ზონებში.

ადგილობრივი პარტიული კომიტეტების სტრუქტურის განზრახული გარდაქმნა მოითხოვს შეიცვალოს აგრეთვე სტრუქტურა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა, რომლის შემადგენლობაშიც იქნება: ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი, ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის ხელმძღვანელობის ბიურო ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობის ბიურო, პარტიული ორგანოების მთელი რეორგანიზაცია განზრახულია განხორციელდეს შტატებისა და ხელფასის ფონდების ფარგლებში მათი რამდენადმე შემცირებითაც კი.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა პლენუმის განსახილველად დააყენა, არის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ერთიანი ორგანოს შექმნის საკითხი. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ერთიანობის ლენინური პრინციპი უხეშად დაირღვა სტალინის პიროვნების კულტის ბატონობის პერიოდში. ლენინური პრინციპის აღდგენა ამ დარგშიც ნაყოფიერ გავლენას მოახდენს ჩვენი სახელმწიფოს მთელ განვითარებაზე, დააჩქარებს მის წინსვლას. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის შექმნა, მშრომელთა მასების ფართო მონაწილეობა კონტროლში, შესრულების ყოველდღიური შემოწმება ხელს შეუწყობს იმას, რომ ნამდვილი ბოლშევიკური წესრიგი დავამყაროთ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობაში, ავამაღლოთ პასუხისმგებლობა, განვამტკიცოთ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა.

ამხანაგებო! ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის სწრაფი განვითარების პერიოდში უნდა გამოვნახოთ ორგანიზაციული ხელმძღვანელობის ახალი ფორმები, რომლებიც ხელს შეუწყობენ იმას, რომ დავძლიოთ ეკონომიური დაქსაქსულობა, შეუთანხმებლობა, მავნე დუბლირება, კუთხურობის გამოვლინება მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური საკითხების გადაჭრის დროს.

მაგალითად, აზერბაიჯანსა და საქართველოს აქვთ დამოუკიდებელი რკინიგზის სამმართველოები. ამ ორი გზის სიგრძეა 3500 კილომეტრი, ესე იგი ცოტა ნაკლებია მეზობელ ჩრდილოეთ კავკასიის გზის სიგრძეზე, რომ არაფერი ვთქვათ ჩვენი ქვეყნის სხვა გზებზე, რომლებიც დღე-ღამეში ამუშავებენ რამდენჯერმე მეტ ტვირთს, ვიდრე ამიერკავკასიის ორივე გზა ერთად. ასეთი გაყოფის შედეგად იქმნება პირობები ზედმეტი ხარჯების გასაწევად, ტრანსპორტი ნაკლებ ეფექტიანად არის გამოყენებული.

იგივე შეიძლება ითქვას ნავთობის მრეწველობაზე. ორი რესპუბლიკის — აზერბაიჯანისა და საქართველოს გეოლოგთა, მენავთობეთა, მბურღავთა ღონისძიებანი რომ გაერთიანებული იყოს, უფრო მალე ვიპოვნიდით ნავთობს საქართველოში. ამ ნავთობს კი უკვე თითქმის 25 წელია ეძებენ, ამობენ, დიდი ნავთობი არისო, მაგრამ ჯერჯერობით, გარდა პატარა ნავთობისა, არაფერი არ ჩანს. **(გამოცოცხლება დარბაზში).**

ამიერკავკასიის ყველა ელექტროსადგური შეკავშირებულია ერთიან ენერგეტიკულ სისტემად. ამასთანავე არსებობს ისეთი ორგანიზაციები, როგორიც არის საქენერგო, სომხენერგო, აზენერგო, ეს სამი ორგანიზაცია უთუოდ შეიძლება გაერთიანდეს და ჰქონდეს ერთი ხელმძღვანელობა.

საჭიროა მეტი სარგებლობით გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნისათვის ყველაფერი, რაც აქვს თვითეულ მოკავშირე რესპუბლიკას, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების დარგში, რათა მისი წვლილი უფრო სრული იყოს საერთო საქმეში — კომუნიზმის აშენებაში.

როგორც ჩანს, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელებმა ერთად უნდა მოიფიქრონ ყველა ღონისძიება ამიერკავკასიის დიდი ეკონომიური რაიონის საწარმოო ძალების განვითარების დასაჩქარებლად და თავიანთი წინადადებანი შეიტანონ პარტიის ცენტრალური კომიტეტის განსახილველად.

ამხანაგებო! პარტიული ორგანიზაციების წინაშე აჭარამად დიდი ამოცანები დგას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საქმეში. ამ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეს პლენუმი დასახავს მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად, კადრების სწორი განაწილება და შრომის ორგანიზაცია, მეურნეობის სოციალისტური სისტემის დაუშრეტელი რეზერვებისა და შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოყენება, დაუცხრომელი სისტემატური მუშაობა მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის, მასების დარაზმვა და მათი შემოქმედებითი აქტივობის გამოყენება — აი რამ შეიძლება უზრუნველყოს ჩვენი ეკონომიკის შემდგომი მძლავრი განვითარება, უზრუნველყოს ახალ წარმატებათა მიღწევა კომუნისტური მშენებლობის საქმეში. **(ხანგრძლივი ტაში).**

ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲔᲑᲘ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. სურათზე: სხდომათა დარბაზში.
ფოტო ვ. ეგოროვისა და ი. სავოს ტიანოვისა (საკავშირო ფოტოქრონიკა).

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

**მესამე დღეა** კრემლის დიდ სასახლეში მუშაობას განაგრძობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. მისი მონაწილენი იხილავენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას „სსრ კავშირის ეკონომიკის განვითარება და სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობა“.

პლენუმის 21 ნოემბრის დილის სხდომა დაიწყო საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის **ვ. ვ. გრიშინის** გამოსვლით.

პარტიული ორგანოების გარდაქმნა საწარმოო პრინციპის მიხედვით, ამბობს ამხ. გრიშინი, ტექნიკური პოლიტიკის ხელმძღვანელობის ცენტრალიზაცია, ეკონომიური მშენებლობის მართვის სრულყოფა, დაგეგმვის გაუმჯობესება, პარტიულ-სახელმწიფოებრივი კონტროლის ლენინური პრინციპებს აღდგენა— ყოველივე ეს უმნიშვნელოვანესი ღონისძიებებია, რომელთა განხორციელება საშუალებას მოგვცემს ავამაღლოთ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის დონე, უზრუნველვყოთ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის უფრო სწრაფი ტემპი.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში გაკრიტიკებული იყო ნაკლოვანებები მრეწველობას, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში, საწარმოთა და მშენებლობათა მუშაობაში. ეს ნაკლოვანებები მოწმობენ, რომ პროფესიულმა კავშირებმაც უკეთ და უფრო სრულად უნდა გამოიყენონ თავიანთი ძალები და შესაძლებლობანი ჩვენს ქვეყნის ეკონომიური განვითარების გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში. ეს შესაძლებლობები კი ნამდვილად დიდია. მრეწველობაში, მშენებლობაში და ტრანსპორტზე არის 120 ათასი პროფკავშირული ორგანიზაცია, რომლებიც აერთიანებენ 40 მილიონ მუშასა და მოსამსახურეს. სოფლის მეურნეობაში 33 ათასი პროფკავშირული ორგანიზაცია, რომლებიც აერთიანებენ 10 მილიონზე მეტ მშრომელს.

ამხ. გრიშინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პარტიამ დაძლია ტალინის პირობენების კულტის შედეგები, გაანადგურა ანტიპარტიული ჯგუფი, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა ყოველივე ახალს, პროგრესულს, და შექმნა საჭირო პირობები მასების აქტივობის ფართო განვითარებისათვის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის გადიდებისათვის ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. პარტიამ აამაღლა პროფკავშირების როლი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა ამოცანის გადაწყვეტაში. მიღი დაჩქარებით პროფკავშირებმა დიდი მუშაობა გაშალეს მშრომელთა დასარაზმავად შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, წარმოების რეზერვების გამოვლენებისა და გამოყენებისათვის.

ამასთანავე, თქვა ამხ. გრიშინმა, ბევრი პროფკავშირული ორგანიზაცია ჯერ კიდევ ღრმად ვერ წვდება წარმოების ეკონომიკისა და ტექნიკის საკითხებს, სათანადოდ არ ზრუნავს მშრომელთა ზრის ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ამოცანა ის არის, რომ შემდგომშიც განვაგრძოთ პროფკავშირთა მუშაობის დონის ამაღლება, გავზარდოთ მათი გავლენა წარმოებაზე. ამ ამოცანის გადაწყვეტას ხელი უნდა შეუწყოს პროფკავშირების ორგანიზაციულმა გარდაქმნამ, რის განხორციელებაც ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნასთან დაკავშირებით.

ჩანს, აღნიშნავს ორატორი, წარმოების განვითარებაზე პროფორგანიზაციების უფრო კონკრეტული გავლენის მიზნით მიზანშეწონილია ოლქებსა და მხარეებში იყოს ორ-ორი საბჭო და დარგობრივი პროფკავშირების შესაბამისი კომიტეტები. პირველი საბჭოები და კომიტეტები გაიერთიანებენ მრეწველობაში, მშენებლობასა და კალაქის მეურნეობაში მოქმედ პროფკავშირის წევრებს, მეორენი — სოფლის მეურნეობისა და იმ დაწესებულებებში მომუშავეებს, რომლებიც სოფლის მოსახლეობას ემსახურებიან. პროფკავშირების რესპუბლიკურ საბჭოებში განზრახულია იყოს მრეწველობის პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის ბიურო და სოფლის პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის ბიურო.

მნიშვნელოვანი ადგილი თავის სიტყვაში ამხ. გრიშინმა დაუთმო წარმოების მართვაში მშრომელთა ჩაბმის საქმეს. მმართველობაში მუშათა და მოსამსახურეთა აქტიური მონაწილეობის მიზნებს, თქვა მან, ემსახურება ისეთი ღონისძიებანი, როგორიცაა საწარმოებში საწარმოო კომიტეტების შექმნა, მშრომელთა ფართოდ ჩაბმა პარტიულ-სახელმწიფოებრივი კონტროლის ორგანოების მუშაობაში. ამასთანავე საჭიროა პროფკავშირების მუშაობის გაუმჯობესება წარმოების მართვაში მასების ჩაბმისათვის. ამ საქმეში ავტორიტეტული ორგანები არიან მუდმივ მოქმედი საწარმოო თათბირები, ისინი შექმნილია 64 ათას საწარმოში და მშენებლობაზე და 52 ათას მსხვილ საამქრაში. მათ შემადგენლობაში არჩეულია დაახლოებით 5 მილიონი კაცი. ყოველწლიურად ისინი იღებენ დაახლოებით ორ მილიონ რეკომენდაციასა და წინადადებას, რომელთა მიზანია შრომისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესება.

ამხ. გრიშინი ხაზს უსვამს, რომ უკეთ უნდა გამოვიყენოთ პროფკავშირების ძალები კონტროლის გაძლიერებას მიზნით. ამიტომ საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმების შესრულებისადმი, ბინების განაწილების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების წესების დაცვისადმი მასობრივ მუშათა კონტროლზე მონაწილეობას იღებს დაახლოებით 6 მილიონი აქტივისტი.

ორატორი შეჩერდა შრომის ნაყოფიერების გადიდების საკითხებზე და თქვა, რომ შვიდწლედის სამი წლის განმავლობაში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა: მრეწველობაში — 18,2 პროცენტით, მშენებლობაში — 22,5 პროცენტით და ტრანსპორტზე — 20 პროცენტით. ამასთან საათობრივი შრომის ნაყოფიერება შემცირებულ სამუშაო დღეზე გადასვლასთან დაკავშირებით გაიზარდა მრეწველობაში 33,6 პროცენტით და მშენებლობაში 38 პროცენტით.

ყოველივე ამის მიუხედავად, ჯერ კიდევ ცოტა როდია ისეთი საწარმო და მშენებლობა, რომლებიც ვერ ასრულებენ შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებებს. პარტია მიგვითითებს, თქვა ამხ. გრიშინმა, რომ შრომის ნაყოფიერების გადიდებას უფრო სწრაფი ტემპი უნდა უზრუნველყოფილი იყოს ახალი ტექნიკის გეგმაზომიერი დანერგვის საფუძველზე. მაგრამ ჩვენ არა გვაქვს სათანადო კონტროლი ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმების შესრულებისადმი. ამის შედეგად გეგმები წლითიწლითი 50-60 პროცენტის დონეზე ხორციელდება. მრეწველობასა და მშენებლობაში დღემდე მუშების დაახლოებით ნახევარი ხელით შრომობს. კიდევ უფრო დაბალია დამხმარე და განსაკუთრებით დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის დონე.

პარტიული ორგანოების გარდაქმნა, ტექნიკური პოლიტიკის ხელმძღვანელობის ცენტრალიზაცია, განაგრძო ორატორმა, საშუალებას მოგვცემს უფრო მიზანსწრაფულად ვიმუშაოთ ამ საკითხებზე, გავაძლიეროთ ყურადღება ახალი ტექნიკის დანერგვის, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის საქმისადმი და ამ საფუძველზე მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების უფრო სწრაფ ზრდას. დიდი მნიშვნელობა შრომის ნაყოფიერების სისტემატური ზრდისათვის აქვს ტექნიკური დანორმვის გაუმჯობესებას.

ამხ. გრიშინმა აღნიშნა, რომ საჭიროა შემდგომ გაუმჯობესდეს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია. მან თქვა, ახლა სოციალისტურ შეჯიბრებაში მუშებისა და მოსამსახურეების დაახლოებით 85 პროცენტი მონაწილეობსო. სულ უფრო დიდად ვითარდება თანამედროვეობას შესანიშნავი მოძრაობა — კომუნისტური შრომის კოლექტივებისა და დამკვრელების შეჯიბრება. მაგრამ ბევრ საწარმოში სუსტად ავრცელებენ შეჯიბრების შედეგებს, ყოველთვის როდია უზრუნველყოფილი მთავარი — ჩამორჩენილი კოლექტივებისა და მუშებისადმი დახმარების გაწევა.

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა იმ საკითხთა დიდი მნიშვნელობა, რომ გადიდდეს კოლექტივების მატერიალური დაინტერესება საწარმოთა მუშაობის შედეგებით. მან თქვა, რომ ამჟამად საწარმოთა ფონდის, როგორც კოლექტივების მატერიალური სტიმულირების ფორმის, როლი ამჟამად საკმაოდ ქმედითი არ არის. 1961 წელს ასეთი ფონდები ჰქონდა საწარმოთა მხოლოდ 50 პროცენტს. საწარმოს ფონდის როლი მცირდება აგრეთვე იმის გამო, რომ ამ ფონდის გამოყენებაში არის ნაკლოვანები, საწარმოთა ფონდების მნიშვნელოვანი სახსრები ყოველწლიურად მიაქვთ ზემდგომ ორგანიზაციებს — რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის საბჭოებსა და მინისტრთა საბჭოებს. საჭიროა გავაუმჯობესოთ საწარმოთა ფონდის საქმე, აღნიშნა ორატორმა; უნდა გავაფართოოთ კარგად მომუშავე კოლექტივების წახალისების შესაძლებლობანი.

დასასრულ ამხ. გრიშინმა თქვა: ჩვენი ქვეყნის მუშები და მოსამსახურეები, პროფკავშირთა ათეულ მილიონობით წევრი აცხადებენ, რომ ერთსულოვნად უჭერენ მხარს კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ჩვენი ქვეყნის მშრომელები, რომლებიც უფრო მჭიდროდ ირაზმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომელსაც ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვი მეთაურობს, გაამრავლებენ თავიანთ ღონისძიებებს კომუნისტური მშენებლობის დიადი გეგმების განხორციელებისათვის.

სიტყვა ეძლევა ბალტიის ქარხნის გემთაშენებელს **ვ. ა. სმირნოვს** (ლენინგრადი). მე, ბალტიის ზღვის მუშას, ამბობს იგი, წილად ხვდა პატივი გამოვიდე კრემლში დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხთა განხილვის დროს. უდიდესი აღმავლობით შეეხეთ ჩვენ, გემთმშენებელნი, ცნობას ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის მოწვევის შესახებ. პარტიის XXII ყრილობის შემდეგ განვლილმა წელმა დაგვანახვა, თუ რა შთაგონებით ახორციელებენ კომუნისტური მშენებლობის პროგრამას მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები. ყველა საბჭოთა ადამიანი მხურვალე მადლობას უძღვნის პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს ბრძოლაში პოლიტიკისათვის, რომელიც შეესაბამება ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

ჩვენ, ლენინგრადის მუშები, მთლიანად და სავსებით ვიწონებთ ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვის წინადადებებს მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ. ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი საშუალებას მოგვცემენ დავაჩქაროთ პარტიის პროგრამით დასახული ამოცანების შესრულება.

ორატორი აღნიშნავს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს გემთმშენებლობის განვითარებას. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, პირადად ნ. ს. ხრუშჩოვი ათაერთხელ ყოფილან ლენინგრადში, გაუწევიათ დახმარება გემთმშენებლებისათვის. ბალტიის ქარხანაში რომ მოვიდა, იგონებს ლენინგრადელი მუშა, ნ. ს. ხრუშჩოვმა გაგვაკრიტიკა იმისათვის, რომ საკმაოდ ვერ ვიყენებდით ქარხნის სიმძლავრეებს და, კერძოდ, სტაპელებს. ჩვენ მხედველობაში მივიღეთ ეს შენიშვნები. დღეს შემიძლია მოვახსენო პლენუმს, რომ მიმდინარე წლის დეკემბერში ტანკერ „სოფიას“ ვადამდე ჩავუშვებთ წყალში. ამავე სტაპელზე დაწყებულია შემდეგი ტანკერის მშენებლობა. ბალტიის ქარხნის კოლექტივი, რომელიც ასრულებს თავის ვალდებულებებს შვიდწლედის მეოთხე წლის ვადამდე შესასრულებლად, ვადაზე ადრე გადასცემს ფლოტს ტანკერ „ულან-ბატორს“ და რეფრიჟერატორ „ჩუკოტკინს“.

ამხ. სმირნოვი ამბობს, რომ ბალტიის ქარხანაში ბევრი მუშა იძლევა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ნიმუშებს, უბრალოდ იყენებს ახალ ტექნიკას, მუდამ ეძებს შრომის ნაყოფიერების გადიდების გზებს.

ბალტიელებმა ფართოდ დაუჭირეს მხარი ლენინგრადის მოწინავე საწარმოთა ინიციატივას, რომ შეიქმნას კომუნისტური შრომის გამოცდილების სკოლები, რომლებშიც პოლიტიკური და ზოგადობრივი აღზრდა შეხამებულია ყოველივე ახლის, პროგრესულის სწავლებასთან. ამჟამად ქარხნის 500-ზე მეტი მოწინავე მუშა შეფობას უწევს ახალგაზრდობას და უხიარებს მას თავის გამოცდილებას. იყოს წინ, არ დასჯერდნენ მიღწეულს, დაკმაყოფილებულნი — ეს გაზდა კომუნისტური შრომის ყველა ბრიგადისა და დამკვრელის ცხოვრების კანონი.

ჩვენმა ქარხანამ, განაგრძობს ორატორი, უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაადიდა ხომალდების გამოშვება და შეამცირა მათი შენების ვადები, **ამასთან „სოფიას“** ტიპის დიდტონაჟიანი ტანკერები კიდევ უფრო სწრაფად და იაფად აშენდება. საწარმოში შემუშავებულია და ინერგება ამ სერიის ტანკერების აშენების ნაკადურ-პოზიციური მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ შინარეზერვები, აგრეთვე სამამულო და საზღვარგარეთული გემთმშენებლობის მიღწევები. მაგრამ დღემდე ზუსტი წესრიგი ჯერ არის დამყარებული იმაში, რომ დროულად უზრუნველყოთ მშენებარე ხომალდები მოწყობილობითა და მაკომპლექტებელი ნაკეთობით. ჩვენ, ამბობს ს. ა. სმირნოვი, ბრალეულ ვართ ნაკლოვანებით, **რომ საჭიროა** მკაცრად გაუმჯობესდეს გემთმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის საკონსტრუქტორო ბიუროების მუშაობა. ამ კომიტეტის მიერ გამომშვებული ნახაზები არ აკმაყოფილებს წარმოების მოთხოვნებს.

გემთმშენებლობაში სერიოზული და ჯერჯერობით გადაუჭრელი საკითხია წარმოების სპეციალიზაცია, ამბობს ორატორი. ჩვენი ქარხანა ერთსა და იმავე დროს აშენებს რვა ტიპის გემებს სამი ორგანიზაციის პროექტების მიხედვით. ეს დიდ სირთულეებს ქმნის მუშაობაში, განსაკუთრებით როცა ქარხანაში ერთსა და იმავე დროს შენდება რამდენიმე სათაკო ხომალდი.

ამჟამად, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ მუშის ღირსებაზე, პროდუქციისთვის სიამაყეზე, საქარხნო მარკის ავტორიტეტისათვის ბრძოლაზე, მეტად საჭიროა არა მარტო მოვეწოდებდეთ ასეთი მუშაობისათვის, არამედ კიდევეაც ვქმნიდეთ მუშაობის პირობებს. მაგრამ ხშირად გვიდგება ისეთი მოწყობილობით მუშაობა, რომელიც არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. განსაკუთრებით მწვავედ დგას შესადუღებელი მოწყობილობის საკითხი. ამ მოწყობილობის მნიშვნელოვანი ნაწილი ათ წელზეზე მეტია ექსპლოატაციაშია. ახალი შესადუღებელი და გახსაკრავი მოწყობილობა ძალიან ნელა მოდის, რაც აფერხებს ავტომატური შედუღების დანერგვას.

წარმოების მოცულობის გადიდება, ხომალდების მშენებლობის მზარდი ტექნიკური სირთულე მოითხოვს შევინარჩუნოთ გამოცდილ მუშათა კადრები ქარხნებში. ამჟამად არ ხორციელდება საჭირო წამახალისებელი ღონისძიებანი იმათთვის, ვისაც ხანგრძლივად უმუშავნია ერთ საწარმოში. გაცილებით უფრო სრულად უნდა გამოვიყენოთ მატერიალური დაინტერესების პრინციპი, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამაზე უნდა იმუშაოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა.

ბალტიელ მუშებს ესმით იმ ამოცანების მთელი სერიოზულობა, რომელთა შესრულება გემთმშენებლებს ევალებათ, აცხადებს დასასრულ ამხ. სმირნოვი, და აღუთქვამენ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს, რომ არ შეარცხვენენ მუშათა ღირსებას და კიდევ მეტი ენერგიით იშრომებენ პარტიის პროგრამის შესასრულებლად, მიმდინარე პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. პ. მეჟავანაძემ.**

პლენუმის მონაწილენი გულთბილად მიესალმნენ ჩვენი ქვეყნის წარჩინებულ მესვეურს, ტერნოპოლის ოლქის სკკპ XXII ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მეგრელოლის ორგზის სოციალისტური შრომის გმირს **ე. ფ. დოლინიუკს.**

ჩვენს ქვეყანაში, თქვა მან, ტრადიცია გახდა ყველა დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხი კოლეგიურად გადაეჭრათ. აი ახლაც ცენტრალურმა კომიტეტმა მიგვიწვია, რათა მოვითათბიროთ და განვიხილოთ მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები. ცენტრალური კომიტეტი მუდამ ეყრდნობა პარტიისა და ხალხის კოლექტიურ გამოცდილებასა და კოლექტიურ გონებას. სწორედ ეს არის პრაქტიკულად განხორციელება პარტიული ცხოვრების იმ ნორმებისა, რომლებიც შეიმუშავა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა.

თავის მოხსენებაში ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და ახლანდელი პლენუმის მონაწილეებმა ილაპარაკეს იმ წარმატებებზე, რომლებიც ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა კომუნიზმის მშენებლობაში. ეს წარმატებანი უდაოა. განსაკუთრებით შესამჩნევია ისინი სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ამას დიდად შეუწყო ხელი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობის ახალი ორგანოების შექმნამ, რამაც საშუალება მოგვცა უფრო ოპერატიულად და კვალიფიციურად გადაეჭრათ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების საკითხები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წინ ტერნოპოლის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა დიდი სიხარულის გრძნობით მოახსენეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ პირნათლად შეასრულეს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი — სახელმწიფოს მიჰყიდეს 13,4 მილიონი ფუთი პური. ამ გამარჯვებაში ღირსეული წვლილი შეიტანეს მესიმინდეებმაც. მათ სახელმწიფოს ბეღლებში შეინახეს დაახლოებით სამი მილიონი ფუთი სიმინდის მარცვალი. ამ კულტურის მარტო ჰიბრიდული და ჯიშიანი თესლი მაყიდა სახელმწიფოს 33 ათას ტონაზე მეტი.

ავიღოთ, მაგალითად, ჩვენი კოლმეურნეობა, რომელმაც სახელმწიფოს მიაყიდა 270 ათასი ფუთი პური და მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში. ეს ჰექტარ სახნავზე უკვე წარმოებულია 384 ცენტნერი რძე და 58 ცენტნერი ხორცი. ჩვენმა რგოლმა ასი ჰექტარი ფარობის ჰექტარზე საშუალოდ მოიწია 81 ცენტნერი სიმინდის ხმელი მარცვალი და ამავე ფართობის ჰექტარზე 130 ცენტნერი გოგრა. სიმინდის მარცვლის მოლიანმა მოსავალმა რგოლში შეადგინა 8.150 ცენტნერი. ეგი საკმარისია, რათა ვაწარმოოთ სულ ცოტა 2.150 ცენტნერი ღორის ხორცი, რომლის გაყიდვის შედეგად კოლმეურნეობა მიიღებს 204,2 ათას მანეთს. თუ სიმინდის ღეროსა და გოგრას, რომელიც სიმინდში იყო დათესილი, ვაკმეევთ ძროხას, შეიძლება მივიღოთ 7.425 ცენტნერი რძე.

ზოგი ვინმე იფიქრებს „აი დოლინიუკი კვლავ თავის სიმინდზე ლაპარაკობსო“. ამხანაგებო, სიმინდის დავიწყება არ შეიძლება. მხოლოდ მაშინ, როცა სიმინდზე მუდმივად ვიზრუნებთ, ასკეცად აგვინაზღაურებს ამაგს. მინდა კიდევ ერთხელ მოგაგონოთ, რომ სიმინდის უხვი მოსავლის მოწევისთვის მთავარია კარგად გავაპოხიერთ ნიადაგი, დროზე და კარგი ხარისხით დავთესოთ, უზრუნველყოთ ნათესების საგულდაგულო მოვლა, პატიოსნად ვიშრომოთ ამ კულტურის მოყვანისათვის. მე კიდევ და კიდევ მოვუწოდებ საკოლმეურნეო სოფლის ყველა მშრომელს, ჩემს სახელოვან დობილებს — ქალებს ყველგან და ყოველთვის გაუფრთხილდნენ მხნეულ-მოუსვლელს ღირსებას, კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ დიდი სიმინდისათვის მოძრაობა დიდ ფართობებზე, მარცვლეულს ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის, იმისათვის, რომ ყოველღიურად იესებოდეს კომუნისტური სიუხვის ფიალა.

ჩვენი რგოლი, ჩვენი კოლმეურნეობა, განაცხადა ე. ა. დოლინიუკმა, ყოველ ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ თავდადებული შრომით ღირსეული წვლილი შეიტანონ კომუნიზმის აშენების გრანდიოზული პროგრამის წარმატებით განხორციელებაში.

ყუბანის 157 ათასი კომუნისტის სახელით სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. ი. ვორობიოვმა** მოიწონა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება, რომელშიც განსაზღვრულია კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის სწრაფი წინსვლის გზები. ორატორი ამბობს, რომ თელ საბჭოთა ხალხთან ერთად კომუნისტური შენებლობის საქმეში ღირსეული წვლილი შეაქვთ ყუბანის შრომელებსაც. შვიდწლედის წლებში სამრეწველო პროდუქციის მოცულობა ჩვენს მხარეში 34 პროცენტით გაიზარდა. გეგმით გათვალისწინებული 29 პროცენტის ნაცვლად. განსაკუთრებით სწრაფი ტემპით ვითარდება კვების, საფეიქრო, გაზისა და ცემენტის მრეწველობა. ხორცისა და რძის და მედვინეობის საწარმოთა საწარმოო სიმძლავრეები ერთიორად გაიზარდა. შაქრის გამომუშავება 9-ჯერ გადიდდა. ბუნებრივი გაზის გამორკვევულმა მარაგმა ამ მხარეში უკვე მიაღწია 550 მილიარდ კუბურ მეტრს. ყუბანის გაზს იღებენ მოსკოვი, ლენინგრადი, დონბასი. ცემენტის წარმოება შვიდწლედის დამლევისათვის ერთიორად გადიდდება და 4 მილიონ ტონას შეადგენს.

მაგრამ, ამბობს ამხ. ვორობიოვი, ჩვენში ჯერ კიდევ ვერ იყენებენ მთლიანად რეზერვებს. კვების მრეწველობის მუშაობაზე. კვების მრეწველობის მუშაობაზე, ამბობს ამხ. ვორობიოვი, ჩვენ ბევრ ქვეყნის სწრაფი წინსვლის გზები. ორატორი ამბობს, რომ ძალ ეროვნული ბალანსი ერთად კომუნისტური მშენებლობის საქმეში ღირსეული წვლილი შეაქვთ ყუბანის მშრომელებსაც. შვიდწლედის წლებში სამრეწველო პროდუქციის მოცულობა ჩვენს მხარეში 34 პროცენტით გაიზარდა. გეგმით გათვალისწინებული 29 პროცენტის ნაცვლად. განსაკუთრებით სწრაფი ტემპით ვითარდება კვების, საფეიქრო, გაზისა და ცემენტის მრეწველობა. ხორცისა და რძის და მედვინეობის საწარმოთა საწარმოო სიმძლავრეები ერთიორად გაიზარდა. შაქრის გამომუშავება 9-ჯერ გადიდდა. ბუნებრივი გაზის გამორკვეულმა მარაგმა ამ მხარეში უკვე მიაღწია 550 მილიარდ კუბურ მეტრს. ყუბანის გაზს იღებენ მოსკოვი, ლენინგრადი, დონბასი. ცემენტის წარმოება შვიდწლედის დამლევისათვის ერთიორად გადიდდება და 4 მილიონ ტონას შეადგენს.

მაგრამ, ამბობს ამხ. ვორობიოვი, ჩვენში ჯერ კიდევ ვერ იყენებენ მთლიანად რეზერვებს. კვების მრეწველობის მუშაობაზე. კვების მრეწველობის ბრალეულ ვართ ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისა. ეს ეხება ბევრ ქვეყნის სწრაფი წინსვლის გზები, რომელშიც ერთად კომუნისტური მშენებლობის საქმეში ღირსეული წვლილი შეაქვთ ყუბანის მშრომელებსაც. შვიდწლედის წლებში სამრეწველო პროდუქციის მოცულობა ჩვენს მხარეში 34 პროცენტით გაიზარდა. გეგმით გათვალისწინებული 29 პროცენტის ნაცვლად. განსაკუთრებით სწრაფი ტემპით ვითარდება კვების, საფეიქრო, გაზისა და ცემენტის მრეწველობა. ხორცისა და რძის და მედვინეობის საწარმოთა საწარმოო სიმძლავრეები ერთიორად გაიზარდა. შაქრის გამომუშავება 9-ჯერ გადიდდა. ბუნებრივი გაზის გამორკვეულმა მარაგმა ამ მხარეში უკვე მიაღწია 550 მილიარდ კუბურ მეტრს. ყუბანის გაზს იღებენ მოსკოვი, ლენინგრადი, დონბასი. ცემენტის წარმოება შვიდწლედის დამლევისათვის ერთიორად გადიდდება და 4 მილიონ ტონას შეადგენს.

ყუბანის მშრომელები, თქვა ამხ. ვორობიოვმა, მუდამ გრძნობენ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვის ზრუნვას ჩვენი მხარის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებისათვის. მიმდინარე წლის სექტემბრის დამლევს ყუბანში ყოფნის დროს ნიკიტა სერგეის-ძემ ჩვენი ყურადღება მიაქცია იმას რომ საჭიროა ყუბანის ნაყოფიერი ლელიანის ამოშრობა, ველიანი ნაწილის მიწების მორწყვა და გაწყლიერება. ამჟამად ამ საკითხს იხილავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო. ჩვენი მხარის მშრომელებმა ამ მზრუნველობის პასუხად დიდი მუშაობა გაშალეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდებისათვის. სუფთამდგომი კულტურები უკვე დაითესა 250 ათასი ჰექტარით მეტი, კიდევ შარშან. მეცხოველეები, რომლებმაც აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და რეზერვები, სახავენ 196-ჯერ წელს ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე აწარმონ 75 ცენტნერი და ყოველ 100 ჰექტარ სხვა სავარგულზე 16 ცენტნერი ხორცი.

გრანდიოზული ამოცანები, რომლებიც დასახულია პარტიის პროგრამაში, ამბობს დასასრულ ორატორი, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ხელმძღვანელობის უფრო მაღალ დონეს მოითხოვენ. პარტიელმა ორგანიზაციებმა წარმოებას უნდა უხელმძღვანონენ კონკრეტულად, საქმის ღრმა ცოდნით. აი რატომ ვიწონებთ მხურვალედ პარტიული ორგანოების ორგანიზაციის გარდაქმნას, რაც დასახა და დაასაბუთა ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვმა.

ტრიბუნაზეა მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ი. ი. ბოდიუული.** ეს პლენუმი, თქვა მან, იქნება შემდგომი ეტაპი იმ გზაზე, რომ პრაქტიკულად განხორციელდეს პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი პარტიის როლის გაზრდების შესახებ ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობაში.

ლენინის შემდეგ არასოდეს ასე ბრძოლად, ღრმად და შორსმჭვრეტელურად არ წყდებოდა ქვეყნის საშინაო ცხოვრებისა და საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები, როგორც წყვეტს ლენინური ცენტრალური კომიტეტი ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

XX ყრილობის შემდგომ წლები, განაგრძობს ორატორი, აღინიშნა ფილი წარმოშობს ორატორი, ... ... ...

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

(გაგრძელება)

ამ შეიდწლეულში, ამბობს ამხ. შკოლნიკოვი, ჩვენ მნიშვნელოვნად უნდა გავაღიდოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსათვის ბიყიდვა. სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების წარმოების პირველი ოთხი წლის დაკალებებს, რაც დაწესებულია შვიდწლიანი გეგმით, ოღონ გადაჭარბებით შესრულებს.

ახორციელებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიმდინარე წლის გაზაფხულზე ძირეულად გადასინჯეს სოფეს ფართობთა სტრუქტურა, მოუთესავი ანეულებისა და ბალახთესვის ბევრი შემცირების გზით გაადიდეს ნათესები 660 ათასი ჰექტარით, აქედან მარცვლეული კულტურებისა — 625 ათასი ჰექტარით. ამან შესაძლებლობა მისცა ოღქს დამატებით მიეღო წელს დაახლოებით 55 მილიონი ფუთი პური.

ვოლგისპირეთის პირობებში მარცვლეულის წარმოების გადიდების დიდმნიშვნელოვანი წყაროა საშემოდგომო კულტურების, განსაკუთრებით ხორბლის ნათესების გაფართოება. მთელი რიგი წლების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ საშემოდგომო ხორბალი ზოგჯერ იძლევა 4-7 ცენტნერით მეტ მოსავალს, ვიდრე საგაზაფხულო ხორბალი. წელს საშემოდგომო კულტურები აღებულია 1,3 მილიონ ჰექტარზე, ახლა კი დაითესა — 1.7 მილიონ ჰექტარ ფართობზე, ხოლო მომავალ წელს ნათესები 2 მილიონ ჰექტარამდე გადიდდება.

ჩვენი ოღქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს აქვთ დიდი რეზერვები მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის და ყოველ ღონეს იხმარენ მათ გამოსაყენებლად, ამბობს დასასრულ ამხ. შკოლნიკოვი. მაგრამ უფრო სწრაფად რომ განვახორციელოთ ეს, საჭიროა დაეხმაროთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ტექნიკით. უნდა გადაიჭრას ის საკითხი, რომ უკეთ აღიჭურვნენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ტრაქტორებითა და მოსავლის ასაღები მანქანებით. ამხ. შკოლნიკოვს მიაჩნია, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა შეცდომა დაუშვა, როცა შეიმცირა ისეთ უმარტივეს, მაგრამ უაღრესად საჭირო სასოფლო-სამეურნეო იარაღთა წარმოება. როგორიც არის გუთნები, კულტივატორები, საოშავები და მარცვლეულის სათესი მანქანები. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ამ იარაღების მეტად მწვავე ნაკლებობას განიცდიან.

დილის სხდომაზე უკანასკნელი გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდის, ხისდამმუშავებელი მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **გ. ბ. ორლოვი.** მან ხაზი გაუსვა, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე პლენუმსა და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ კომუნისტური მშენებლობის მთელი საქმისათვის.

ჩვენი ქვეყნის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდის, ხისდამმუშავებელი მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის წინაშე, ამბობს ორატორი, დიდი ამოცანები დგას. მთავარი ამოცანაა ყოველი ღონისძიებით დავიცვათ სსრ კავშირის ტყის სიმდიდრენი, უზრუნველვყოთ დამზადებული მერქნის უაღრესად სწორი გამოყენება.

ამხ. ორლოვს მოჰყავს ციფრები, რომლებიც მოწმობენ, რომ ხე-ტყის დიდი რაოდენობა იხარჯება შეშად ან ხე-ტყის ხერხვის ნარჩენებია. გამოანგარიშება გვიჩვენებს, რომ თუ უახლოეს ხუთ, მაქსიმუმ ათ წელიწადში, გამოვიყენებთ მიღებული ნარჩენების თუნდაც ნახევარს, ეს სახალხო მეურნეობას მისცემს 600 მილიონ მანეთ წლიურ ეკონომიას. ამ ნედლეულის გამოყენების გზით შეიძლება ექსპერ გადიდდეს ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის წარმოების მოცულობა ახლანდელთან შედარებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სპეციალური გადაწყვეტილებით, აღნიშნავს ორატორი, გათვალისწინებულია ბევრი დიდმნიშვნელოვანი ობიექტური მოწყობილობის იმპორტი. ამ მოწყობილობის რაც შეიძლება მალე დადგმა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე მიღებულია, საშუალებას მოგვცემს შევქმნათ ცელულოზა-ქაღალდის მძლავრი მრეწველობა ჩვენს ქვეყანაში.

ამასთან დაკავშირებით ამხ. ორლოვმა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა დაჩქარდეს ცელულოზა-ქაღალდის საწარმოთა მშენებლობა. მან აღნიშნა, რომ მთელი რიგი სახალხო მეურნეობის საბჭოები, კერძოდ არხანგელსკის, კარელიის და განსაკუთრებით პერმისა, ბეტად ცუდად აშენებენ ამ საწარმოებს. შეუწყნარებლად ცუდად შენდება მსოფლიოში ყველაზე დიდი ბრატსკის ხე-ტყის მრეწველობის კომბინატი, რომელიც, როგორც გთვალისწინებულია, ყოველწლიურად უნდა გამოუშვას 200 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ცელულოზა დიდ გამძლე კორდის საწარმოებლად, რაც ესოდენ საჭიროა საბჭოეთის მრეწველობისათვის.

შემდეგ ორატორი შეეხო ნაკლოვანებებს ავეჯის წარმოებაში. ახლა ავეჯის დაპროექტებაზე მუშაობს 40 ორგანიზაცია, გარდა ქარხანათა საკონსტრუქტორო ბიუროებისა. დადგა დრო, აცხადებს ამხ. ორლოვი, ძირეულად შეეცვალოთ ეს მდგომარეობა და თავი მოვუყაროთ ავეჯის დაპროექტებას დიდ საკონსტრუქტორო ბიუროებში, რომლებიც სახელმწიფო კომიტეტს ექვემდებარებიან. საჭიროა აგრეთვე დიდი მუშაობა განხორციელდეს ავეჯის ფაბრიკების სპეციალიზაციისათვის.

დასასრულ ამხ. ორლოვმა განაცხადა, რომ სახელმწიფო კომიტეტის მუშაკები ყოველ ღონეს იხმარენ ტექნიკური პროგრესის აღმავლობისათვის ხე-ტყის, ქაღალდისა და ხისდამმუშავებელ მრეწველობაში. შეიტანენ ღირსეულ წვლილს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

* * *

დილის სხდომის დასასრულს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აირჩია კომისია პლენუმის რეზოლუციის მოსამზადებელად. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი.

**პლენუმის** საღამოს სხდომაზე 21 ნოემბერს პირველი გამოვიდა ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **დ. რასულოვი.** მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებულ ღონისძიებათა მთავარი მიზანია ამაღლდეს პარტიული ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ხელმძღვანელობასთვის, კომუნიზმის მშენებლობის საქმეს მოხმარდეს მთელი გამოუყენებელი რეზერვები და შესაძლებლობანი. რეზერვები კი ჩვენ ბევრი გვაქვს.

ავიღოთ მაგალითად შუა აზიის ეკონომიური რაიონი, ამბობს ორატორი. ნ. ს. ხრუშჩოვის ხატოვანი გამოთქმით, ეს ბარაქიანი მხარე ნამდვილად შეიძლება გახდეს ოქროს საგანძური. მაგრამ მხარის სიმდიდრეებს ჯერ კიდევ სუსტად იყენებენ. ამ მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტას დიდად აფერხებს ყოველი რესპუბლიკის ეკონომიკის ერთგვარი განცალკევებული განვითარება, ბევრი საყურადღებო და პრინციპული საკითხის ვიწროოწყვეტილი გადაჭრა, ყოველი რესპუბლიკის მისწრაფება, როგორც ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა, ჰქონდეს თუნდაც პატარა, ცუდი საწარმო, მაგრამ საკუთარი.

ამიტომ ათასგზის სწორია ნ. ს. ხრუშჩოვი, როცა ამბობს, რომ მიზანშეწონილია ერთიანი სახალხო მეურნეობის შექმნა მთელი შუა აზიის ეკონომიური რაიონისათვის, განაცხადა ამხ. რასულოვმა. ამ იდეას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებაზე. ყოველგვარ მოწონებას იმსახურებს წინადადებანი შუა აზიის მრბამბეობის მთავარი საწარმოო სამმართველოს, ირიგაციისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის სამმართველოსა და შუაზიამშენის შექმნის შესახებ.

შემდეგ ამხ. რასულოვმა აღნიშნა, რომ შუა აზიის ყველა რესპუბლიკაში, მათ შორის ტაჯიკეთში, ამჟამად არის რამდენიმე ნაკლებად მძლავრი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება. ყველა, როგორც წესი, მუშაობს ერთა და იგივე საკითხების გადაჭრაზე ისე, რომ არც კი უზიარებენ ერთმანეთს კვლევის შედეგებს. მეცნიერთა ძალების ასეთი დაპაკეტილობა იწვევს სახალხო სახსრების ზედმეტ ხარჯვას, აფერხებს მეცნიერების განვითარებას, არ გვაძლევს საშუალებლობას ოვისებრივად გადავჭრათ ბევრი მნიშვნელოვანი მეცნიერული პრობლემა.

ამასთან დაკავშირებით წინადადება, რომ შეიქმნას სსრ კავშირის მეურნეობის მეცნიერების ცენტრალიზაცია, ერთიანი მეცნიერული ცენტრი ექსპერიმენტული ბაზებით, ბალნიერ ადგილებზე ქსელით ადგილებზე, სავსებით სწორი, დროულია და ჩვენ მხარს ვუჭერთ ამ წინადადებას, აცხადებს ორატორი.

ამხ. რასულოვი მხარს უჭერს აგრეთვე წინადადებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის შუა აზიის ბიუროს შექმნის შესახებ. იგი შეესრულებს დიდ ოლოს მთელი ეკონომიური რაიონის უმდიდრესი რესურსების კომპლექსური გამოყენების ორგანიზაციაში.

ტაჯიკეთს, განაგრძობს ამხ. რასულოვი, მეორე ადგილი უკავია საბჭოთა კავშირში პოტენციური ჰიდროენერგეტიკული რესურსებით. მდინარე პიანჯზე და მდინარე ვახშზე შეიძლება შეიქმნას 25 მილიონი კილოვატი საერთო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების ჯაჭვადები, და ამასთან აშენდეს დიდი წყალსაცავები. მარტო ერთი დაშტიჯუმას ჰიდროენერგეტიკული კვანძის შენებლობა მდინარე პიანჯზე, რომლის სიმძლავრე 5 მილიონ კილოვატს აღემატება და ექნება 28 მილიარდი კუბური მეტრი ტევადობის წყალსაცავი, შესაძლებლობას მოგვცემს მოვრწყათ სამ მილიონამდე ჰექტარი ნაყოფიერი მიწა ამუდარიის აუზის სამხრეთ ნაწილში. არსებითად აქ შეიძლება შეიქმნას ბაბის წარმოების ახალი უდიდესი რაიონი ჩვენს ქვეყანაში. ტაჯიკეთს აქვს ნედლეულის მდიდარი მარაგი ქიმიური მრეწველობის, ფერადი და შავი მეტალურგიის, გაზისა და ნავთობის მრეწველობის განვითარებისათვის. ამასთან დაკავშირებით ორატორი სთხოვს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაიჩქაროს ტაჯიკეთის ელექტროქიმიური კომბინატის მშენებლობის საპროექტო დავალების შედგენა და ალუმინის ქარხნის დაპროექტება ნურეკის ჰიდროელექტროსადგურის ენერგეტიკულ ბაზაზე.

თავის ბარათში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისადმი, ამბობს შემდეგ ამხ. რასულოვი, ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, სავსებით სწორად მიგვითითებს, რომ საჭიროა ყაირათიანად შეეჯაჭოთ შედეგები, კრიტიკულად გავაანალიზოთ ყოველი მეურნეობის მუშაობა, გამოვავლინოთ რეზერვები და განვსაზღვროთ შემდგომი მიჯნები. ახლა ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოსამზადებელ მუშაობას ახორციელებს ამისათვის.

მომდინარე წლის 11 თვის პროგრამას რესპუბლიკის მრეწველობა ვადამდე ასრულებს. მაგრამ ჩვენ კარგად გვესმის, ამბობს ამხ. რასულოვი, რომ ამ წარმატებებს არ უნდა დავჯერდეთ, მით უმეტეს, რომ ბევრი საწარმო ჯერ კიდევ ცუდად მუშაობს.

არახელსაყრელი იყო მომდინარე წელი რესპუბლიკის მეგამბეჯისათვის. მაგრამ ამიხდის გამო შექმნილი სიძნელეები რამდენადმე დაძლია ადამიანთა თავდადებულმა შრომამ. რესპუბლიკის მინდვრებში მოყვანილია ბამბის მოსავალი, რომელიც უზრუნველყოფს დამზადების სახელმწიფოი ვეგმის შესრულებას. მაგრამ ბამბას კრეფა და ჩაბარება ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად წარმოებს. რესპუბლიკის მეგამბეჯეები, ყველა მშრომელი, პარტიული ორგანიზაცია იღებენ ღონისძიებებს, რომ ნოემბერსა და დეკემბერში მოკრიფონ ბამბის მთელი მოყვანილი მოსავალი და მიაყიდონ იგი სახელმწიფოს.

სულ ამ ცოტა ხნის წინათ მთელმა ჩვენმა ქვეყანამ გაიგო როსტოვის ოღქის საბჭოთა მეურნეობა „პოლტარუელი დიქტატორის“ მეღორის **გ. პ. პლოტნიკოვის** სახელი. გახეთები იუწყებოდნენ, რომ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა გულთბილად მაუღოცა მას დიდი შრომითი გამარჯვება: ათ თვეში ამხ. პლოტნიკოვმა გაასუქა 3.734 ღორი, რომელთა საერთო წონა 4.272 ცენტნერია. ახლა ამ თავმდაბალმა მშრომელმა პლენუმის ტრიბუნიდან სულითა და გულით უძღვნა მადლობა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ნ. ს. ხრუშჩოვს მისი შრომას მაღალი შეფასებისათვის.

გ. პ. პლოტნიკოვმა თქვა, რომ ღორების გასუქებასთან ერთად მან ს ჰექტარ ფართობზე დათესა სასილოსე სიმინდი და ყოველ ჰექტარზე მოიყვანა 200 ცენტნერი მწვანე მასა.

საკუთარი წარმოების იაფი საკვების მეოხებით ცენტნერი წონამატების თვითღირებულებამ შეადგინა 22 მანეთი და 60 კაპიკი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 33 მანეთი და 93 კაპიკისა. საკვების ხარჯვა კილოგრამ წონამატებზე 6 საკვებ ერთეულს არ აღემატება.

ნება მიბოძეთ გიამბოთ, თქვა მეღორემ, თუ როგორ მივაღწიე ასეთ შედეგებს. 1961 წლამდე ტრაქტორისტად ვმუშაობდი და სიმინდი მომყავდა. მინდორი, რომელსაც მე ვამუშავებდი, მეღორების ფერმის მახლობლად იყო. ხშირად ვხედავდი, თუ როგორ უვლიდა შვიდი ქალი ღორებს, სამ მამაკაცს კი საკვები მოჰქონდა. ვფიქრობდი, თუ როგორ უნდა შეცვლილიყო მათი ძმაბე ხელის შრომა მექანიზმებით და ხელა მოვკიდე ამ საქმეს. უწინარეს ყოვლისა გადავხერგეთ ყველა გალია, დავდგინეთ ჯგუფური ავტოსარწყველებები, გავაკეთეთ მექანიზებული საზიდარი საკვების ჩამოსარეგებლად. ნაკელის გატანა ბულდოზერის დახმარებით დავიწყეთ. ასეთი მექანიზაციის პირობებში შარშან გავასუქე და სახელმწიფოს ჩავაბარე 4.609 ღორი, რომელთა საერთო წონა 4.145 ცენტნერია, და მოვიყვანე სიმინდი 63 ჰექტარ ფართობზე. ადრე მეურეობის ფერმას საბჭოთა მეურნეობისათვის ზარალი მოჰქონდა, მას შემდეგ კი, რაც ღორების დიდჯგუფური სუქება დავიწყეთ, ფერმა მომგებიანი გახდა.

მომდინარე წელს, განაგრძო ამხ. პლოტნიკოვმა, ჩვენ განვახორციელეთ დამატებითი მექანიზაცია: დავდგით ტრანსპორტიორი ნაკელისაგან სადგომის გასაწმენდად ტრანსპორტიორი მშრალი სასვეის ჩამოსარიგებლად, მექანიზებული გავხადეთ სილოსის პასტის ჩამორიგება კონცენტრირებულ საკვებთან შერევით, მოვაწყეთ წყალსადენი სადგომის გასარეცხავად. დადგა დრო, როცა მეცხოველეობაში უნდა მუშაობდნენ ადამიანები, რომლებიც მომსახურებიან ტრაქტორს, სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, ელექტრომოტორებს, ჯარგდ გაასუქებენ ღორებს და მოიყვანენ მათ საკვებს. ჩემი გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ შეიძლება ყოველივე ამის განხორციელება. საჭიროა მხოლოდ სურვილი და, რასაკვირველია მექანიზმები. ბევრი მოდის, მეკითხება, თუ როგორ ვმუშაობ, და ამბობს, რომ ეს შეუძლებელია. მაგრამ მე მიმიპასუხია, რომ ეს ადამიანება კონსერვატორები არიან, არ სჯერათ ახლისა, არ სჯერათ მექანიზაციისა. თუ ყველაფერს ჯარგდ გააკეთებს, ტექნიკის გამოყენებით, ორი ადამიანი სავსებით შეძლებს ხუთი ათასა სული ღორის გასუქებას საკუთარი წარმოების საკვებით. ოღონდ უნდა გიყვარდეს მუშაობა და პასუხს აგებდე მინდობილი საქმისათვის.

დიდი ყურადღებით მოვისმინე ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება, განაგრძო ორატორმა. ახლა, ვფიქრობ, ჩვენი ხელმძღვანელები ადგილებზე უკეთ მოჰკიდებენ ხელს სოფლის მეურნეობას. ამ პლენუმის შემდეგ სამმე წარმატებით წავა წინ. 1963 წლისათვის ვიკისრე ვალდებულება: გავასუქო 5 ათასი სული ღორი და სახელმწიფოს ჩავაბარო 4.500 ცენტნერი ხორცი ცოცხალი წონით. 100 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მოვიყვანო 300 ცენტნერ სიმინდის მწვანე მასას.

დასასრულ ამხ. პლოტნიკოვმა თქვა: ნება მიბოძეთ სულითა და გულით მადლობა გადავუხადო ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და პირადად თქვენ, ნიკიტა სერგის ძეს, იმისათვის, რომ დიდი პატივი გამიწიეთ — ვიყო ამ პლენუმის მონაწილე, იმისათვის, რომ დიდად ნრუნავთ სოფლის მეურნეობის მშრომელებისათვის. ნება მიბოძეთ ჩვენი კოლმეურნეობის მთელი კოლექტივის დაკალებით პირობა მოგცეთ, რომ არ დავიშურებთ ძალღონეს და ვიშრომებთ სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის წარმოების გადიდებისათვის.

სიტყვა წარმოთქვა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ი. ნ. ზარობიანმა.** ჩვენი ქვეყნის ცხოვრება, თქვა მან, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდშა სწრაფად ვითარდება, გამალებით მიდის წინ. სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერია, რომ ხელმძღვანელობის ორგანიზაციული ფორმებიც არ უნდა გაიყინონს, არ ჩამორჩეს ახალ ამოცანებს.

გათვალისწინებული ორგანიზაციული გარდაქმნა პრაქტიკული განხორციელებაა სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებისა, რომელმაც ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანად წამოაყენა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესება.

ადხ. ზარობიანმა გულმხურვალედ დაუჭირა მხარი წინადადებებს მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ და ილაპარაკა სომხეთის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში მოპოვებულ წარმატებებზე.

მრეწველობის მუშაკებმა 1962 წლის 10 თვეში 103 ცენტნერი შეასრულეს მთლიანი პროდუქციის წარმოების გეგმა. შესამჩნევად გაუმჯობესდა საწარმოთა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები.

სკკპ XXII ყრილობის შემდგომ განვლილ პერიოდში რესპუბლიკაში საექსპლოატაციოდ გადაეცა 15 ახალი სამრეწველო საწარმო და 20 დიდი საამქრო. მწყობრში ჩადგა კიროვაკანის ხელოვნური ბოჭკოს ქარხანა — ჩვენი ქვეყნის დიდი ქიმიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საწარმო. წლის ბოლოდან საექსპლოატაციოდ გადაეცემა აცეტილცელულოზის წარმოების კომპლექსი.

ორატორმა თქვა, რომ შვიდწლედის მანძილზე სომხეთში განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება ქიმიური მრეწველობა, ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა და ხელსაწყოთმშენებლობა.

თავდადებით იბრძვიან სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებიც. განსაკუთრებით დიდი წარმატებანი მოიპოვეს მეეფახეებმა. მიმდინარე წელს დამზადებულია 135 ათასი ტონა ყურძენი, რაც გათვალისწინებული გეგმის 129 პროცენტს შეადგენს. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს აგრეთვე სახელმწიფოსათვის შაქრის ჭარხლის ჩაბარების გეგმა.

დიდი როლი შეასრულეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განვითარებაში სოფლის მეურნეობის მართვის ახალმა ორგანოებმა. რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებმა. საღაც თავმოყრილია სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა და ორგანიზმაორთა საუკეთესო კადრები, წარმატებით ჩაბარეს პირველი გამოცდა.

ამავე დროს ორატორმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის როგორც მრეწველობის, ისევე სოფლის მეურნეობის მუშაობაშიც ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი და გამოუყენებელი რეზერვები. განხორციელებული ორგანიზატორული მუშაობის დონე არ შეესაბამება პარტიის XXII ყრილობის მოთხოვნებს.

ამხ. ი. ნ. ზარობიანმა მოელი რიგი კრიტიკული შენიშვნები გამოთქვა ზოგიერთი გასაღების მთავარსამმართველოს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილებისა და სხვა ცენტრალურ დაწესებულებათა მისამართით. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ანგარიშს არ უწევს მიზანშეწონილობას და ზოგჯერ არღვევს მიმწოდებელ საწარმოთა და მომხმარებელ საწარმოთა შორის დამყარებულ პირდაპირ კავშირს, რაც უარყოფით შედეგებს იძლევა.

სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციას, ელექტროტექნიკური მრეწველობაა, რაც მნიშვნელოვნად განვითარდა სომხეთშიც. ამ დარგს აქვს სამეცნიერო, საპროექტო-საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური სამუშაოთა სპეციფიკური თავისებურებანი, რაც დაკავშირებული ელექტროენერგიის წარმოების ახალ პრინციპებთან, მაღალი ძაბვის ტექნიკასთან, ძალური ნახევარგამტარიან აპარატებთან, შეტტექნიკასთან და კაბელურ ტექნიკასთან.

ამ საკითხებს განაკალკევებით ამუშავებს ასობით სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ორგანიზაცია როგორც სახალხო მეურნეობის საბჭოებში, ისევე საკავშირო და რესპუბლიკურ მეცნიერებათა აკადემიებში, რაც ვერ უზრუნველყოფს ჯეროვან ტექნიკურ პროგრესს მრეწველობის ამ დარგში.

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მომწიფდა საჭიროება — შეიქმნას ელექტროტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, შეტუშავდეს და განხორციელდეს ღონისძიებანი საწარმოო, სამეცნიერო და სხვა შესაძლებლობათა საუკეთესო კოორდინაციისა და გაერთიანებისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკის უფრო დაჩქარებული განვითარება.

ამ ღონისძიებათა განხორციელება, განაგრძო ამხ. ზარობიანმა, მოგვცემს არა მარტო დიდ ეკონომიურ ეფექტს, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც ექნება. ხალხთა მეგობრობა, რაც ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელების შედეგად მიღწეული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია, კვლავ განმტკიცდება და განვითარდება კომუნიზმის მშენებლობისათვის ჩვენი ბრძოლის მთავარ სფეროში — მატერიალური წარმოების სფეროში.

თავისი გამოსვლის დასასრულს, ამხ. ზარობიანმა თქვა, რომ მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხების დაყენება და განხილვა პლენუმზე ერთხელ კიდევ ცხადყოფს, თუ რა მჭიდროდ არის დაკავშირებული პარტიის ცენტრალური კომიტეტი ჩვენი ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებასთან, თუ როგორ შემოქმედებითად იყენებს იგი მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებას ისტორიული განვითარების ყველა ეტაპზე, რაზმავს საბჭოთა ადამიანებს ახალი დიდი საქმეებისათვის. პარტიისა და ხალხის ღონისძიებებს წარმართავს კომუნისტური მშენებლობის მთავარი ამოცანების შესრულებისათვის.

სიტყვა ეძლევა სკკპ გორკის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს **ლ. ნ. ეფრემოვს.**

პარტიის ლენინურ კურსს, ამბობს ამხ. ეფრემოვი, მდიდარი ნაყოფი მოაქვს ჩვენი სამშობლოსათვის. გორკის ოღქში მრეწველობის პროდუქციის ყოველწლიური მატება მრეწველობის ხელმძღვანელობის მართვის გარდაქმნის შემდეგ ერთნახევარჯერ გაღიდდა. შვიდწლედის წლებში სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობა 40 პროცენტით გაიზარდა საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული 33 პროცენტის ნაცვლად. ოღქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, მიმდინარე წლის ამინდის რთული პირობების მიუხედავად, გაადიდეს მარცვლეულის წარმოება და შესყიდვა, გადაჭარბებით შეასრულეს პურის დამზადების გეგმა, მოიმარგეს თესლი. გაიზარდა ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოება და შესყიდვა.

სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების გრანდიოზული ამოცანები, ხაზგასმით აღნიშნავს ორატორი, რომლებიც სკკპ პროგრამაშია დასახული, ყოველ პარტიულ ორგანიზაციას უყენებს უმაღლესი მაღალ მოთხოვნებს, ავალებს მათ აიყვანონ პარტიული ხელმძღვანელობა უფრო მაღალ საფეხურზე. ხელმძღვანელი პარტიული ორგანოებს ავებს ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა, რაც ნ. ს. ხრუშჩოვმა წამოაყენა, და რომელსაც საღუძველად უდევს საწარმოო პრინციპი, შესაძლებლობას მოგვცემს თავი მოვუყაროთ პარტიულ ორგანიზაციათა ძალებს მთავარი ამოცანების გადასაჭრელად, უფრო კონკრეტულად და გეგმაზომიერად, საქმის ცოდნით ვუხელმძღვანელოთ ეკონომიკის ყველა დარგს.

რომ გაიმიჯნოს პარტიული ხელმძღვანელობა, ჩვენი წინადადებაა შეიქმნას ოღქში პარტიის ორი საოლქო კომიტეტი: ერთი სამრეწველო წარმოების ხელმძღვანელობისათვის და მეორე — სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობისათვის. ოღქში იქნება 16 სასოფლო-სამეურნეო საწარმოო სამმართველო, ხოლო ახლა არსებული 48 სასოფლო-სამეურნეო რაიონი გაუქმდება. პარტიის სასოფლო რაიკომების ნაცვლად გათვალისწინებულია შეიქმნას ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების პარტიული კომიტეტები. შესაბამისი გარდაქმნა განხორციელდება საბჭოთა ორგანოებშიც.

ამხ. ეფრემოვმა აღნიშნა, რომ საჭიროა თავი მოვუყაროთ სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებს ხელმძღვანელობას დაეგბარივ კომიტეტებში, რაც უზრუნველყოფს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა უკეთ გამოყენებას სახალხო მეურნეობაში, წარმოების სპეციალიზაციის ფართო განვითარებას. თუ რა რეზერვებს შეიცავს წარმოების სპეციალიზაცია, შენიშნავს ორატორი, შეგვიძლია დავინახოთ იმიერკოლგეთის საავტომობილო ძრავების მშენებელ ქარხნის მაგალითით. ეს საწარმო უკვე ახლა უშვებს ათეულ ათასობით ძრავს, ხოლო მშენებლობის დამთავრების შემდეგ გამოუშვებს ხუთჯერ მეტს.

შეეხო რა მუშათა და მოსამსახურეთა ეროვნებიანების როლის შემდგომ ამაღლებას საწარმოთა საქმიანობის საკითხების გადაჭრაში, ამხ. ეფრემოვმა აღნიშნა, რომ გორკის ოღქში ამჟამად ქარხნებსა და ფაბრიკებში მუშაობს 650 საზოგადოებრივი საკონსტრუქტორო ბიური და ეკონომიური ანალიზის ჯგუფი, 950 ტექნიკური პროგრესის ხელშემწყობი კომისია. საზოგადოებრიობის, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა უშუალო მონაწილეობით შვიდწლედის განვლილ წლებში ოღქის საწარმოებში განხორციელდა 830-ზე მეტი წინადადება, რამაც მოიტანა 60 მილიონ მანეთზე მეტი ეკონომიური ეფექტი.

ისევი ფართო წარმომადგენლობითი ორგანიზაციის შექმნა წარმოდგენილია და ოლქის საწარმოო, საქარხნო, საფაბრიკო კომიტეტები და სამეურნეო კომიტეტები — დიდ საწარმოებში, კიდევ უფრო აამაღლებს საზოგადოებრიობის როლს წარმოების მართვაში.

კონტროლის ლენინური პრინციპების აღდგენა, პარტიული და სახელმწიფო საკონტროლო ორგანოების გაერთიანება ერთიან ორგანიზაციად, რომელიც პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის ხელმძღვანელობით იმუშავებს მშრომელთა ფართო მასების ყველაზე აქტიური მონაწილეობით, ხელს შეუწყობს კომუნისტური საზოგადოების აშენების ამოცანების წარმატებით განხორციელებას.

გორკის პარტიული ორგანიზაციის კომუნისტები ყოველ ღონეს იხმარენ, რომ წარმატებით შეასრულონ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი, და შეიტანენ ღირსეულ წვლილს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

მეცნიერების განვითარების ზოგიერთ საკითხს, რომლებსაც კარდინალური მნიშვნელობა აქვთ ამჟამად სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, შეეხო თავის გამოსვლაში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი **მ. ვ. კელდიში.** არის სამი დარგი, რომლებიც ყოველგვარი წარმოების ბაზაა, ამბობს იგი. ეს დარგებია ენერგეტიკა, რაციონალური მასალები და საწყისი ნივთიერებანი, ეს არის საწარმოო პროცესების გაზომვის, კონტროლისა და მართვის მეთოდები და საშუალებანი. თითოეული ამ დარგის პროგრესი უკავშირდება თანამედროვე მეცნიერების მიღწევათა გამოყენებას.

თანამედროვე ენერგეტიკის განვითარების ტენდენციაა ენერგეტიკულ დანადგართა ერთიანი სიმძლავრის მკვეთრი გადიდება და გადასვლა სამუშაო პროცესების უფრო მაღალ პარამეტრებზე. ამისათვის საჭიროა ახალი კონსტრუქციული მასალების გამოყენება, მასალათა გაძძლეობის თეორიის განვითარება მაღალი ტემპერატურების, მექანიკური ძაბვისა და ვიბრაციის პირობებში, ორთქლისა და გაზის ტურბინების ელემენტთა გაცივების მეთოდების შემუშავება. უნდა გადაიჭრას ცვლადი და მუდმივი დენის ზემძლავრი ელექტროგადამცემების შექმნასთან დაკავშირებული საკითხების მთელი კომპლექსი.

უდიდეს ეფექტს უნდა მოველოდეთ ენერგიის გარდაქმნის ახალი მეთოდების დანერგვისაგან. ამჟამად ამ მიმართულებით დიდი მუშაობა ხორციელდება. იმის საფუძველზე, რომ განხორციელდა გამოკვლევები ელექტრულ ენერგიად სითბური ენერგიის გარ

# უმნიშვნელოვანესი მოვლენა

**საერთაშორისო** საზოგადოებრივ ობიდი უურადღებით ადევნებს თვალყურს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას. საზღვარგარეთის გაზეთები, რადიო და ტელევიზია იუწყებიან პლენუმის გახსნის ამბავს, აქვეყნებენ და ფართო კომენტარს უკეთებენ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას. ისინი აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის ეკონომიკის წარმატებით განვითარებას, ხაზს უსვამენ იმას, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს პლენუმის განსახილველად შეტანილ წინადადებას პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ძირეული გარდაქმნის შესახებ, რომლებმაც უნდა უხელმძღვანელონ საბჭოთა ეკონომიკას.

**დელი.** ინდოეთის პრესამ თვალსაჩინო ადგილას გამოაქვეყნა დაწვრილებითი შინაარსი ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. გაზეთებმა დაბეჭდეს მოხსენებაში მოყვანილი საბჭოთა ეკონომიკის ზრდის ციფრები, გამოაყვეს ნ. ს. ხრუშჩოვის ის სიტყვები, რომ ზრუნვა ხალხის ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლებისათვის, საბჭოთა ადამიანების მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის კვლავაც იქნება პარტიის უურადღებისა და მოღვაწეობის ცენტრში. გაზეთმა „ჰინდუსტან ტაიმსმა“ დაწვრილებით გააშუქა წინადადებანი სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შესახებ, რომელთაც მოხსენება შეიცავს.

**რომი.** იტალიის ყველა გაზეთმა დაბეჭდა ცნობები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გახსნის შესახებ, გამოაქვეყნა ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების დაწვრილებითი შინაარსი. გაზეთი „უნიტა“ ხაზგასმით აღნიშნავს. რომ წინადადებებს, რომელთაც ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება შეიცავს, „უდიდესი მნიშვნელობა აქვთ“, რადგანაც ისინი შეეხებიან საბჭოთა ეკონომიკის შემდგომი, უფრო ფართო განვითარების პრობლემებს. „ყველა ეს წინადადება,— წერს „უნიტა“, — უეჭველად, უნდა შეიმუშავდეს პრაქტიკით. მაგრამ უკვე ახლა შეიძლება ითქვას, რომ ხრუშჩოვსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას განზრახული აქვთ ხელი შეუწყონ საბჭოთა საზოგადოების წინსვლას“.

**ჟენევა.** ფინურმა გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილას, დიდი სათაურებით გამოაქვეყნეს ინგარიშები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ, ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების შინაარსი. „კანსან უუტისტეტი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყველა გარდაქმნის მთავარი მიზანია ზრუნვა ადამიანისათვის. „უურადღების ცენტრში, — წერს გაზეთი, — უნდა იყოს ზრუნვა ხალხის ცხოვრების დონის განუწყვეტელი ამაღლებისა და საბჭოთა ადამიანის მატერიალური და სულიერ მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის“.

**ბრიუსელი.** ბელგიის გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილას გამოაქვეყნეს შინაარსი ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა პლენუმზე. ბურუუაზიული გაზეთი „ლიბრ ბელეიკი“ ამ პლენუმს აფასებს როგორც ყველაზე დიდმნიშვნელოვანსა და ყველაზე აღსანიშნავს უკანასკნელათ წოდებულ პლენუმებს. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების

## საზღვარგარეთის გამოხმაურება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობის გამო

შინაარსს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, მიუხედავად საბჭოთა კავშირში მიღწეული წარმატებებისა, პარტია ითვალისწინებს ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებიც ხელს შეუწყობენ სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის უფრო მეტ აღმავლობას.

**ჰაბანა.** ჰოლანდიის ყველა გაზეთი, რომლებმაც გამოაქვეყნეს შინაარსი ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, აღნიშნავს, რომ მოხსენებაში დიდი უურადღება დაეთმო საბჭოთა კავშირის მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. კომუნისტური პარტია, აღნიშნავს გაზეთი, „ალგემინ დაგბლადი“, განსაკუთრებულ უურადღებას დაუთმობს საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის შემდგომ ამაღლებას. გაზეთი გამოჰყოფს მოხსენების იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ სოციალისტური ბანაკი გადაქცევა მსოფლიოს .მძლავრ სამრეწველო ცენტრად.

**ათენი.** ათენის გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილას გამოაქვეყნეს შინაარსი ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ წამოყენებულ გარდაქმნებს ისტორიული მნიშვნელობა აქვთ. გათვალისწინებული რეორგანიზაცია, წერს გაზეთი „ეთნოსი“, გამოიწვევს წარმოების ზოლად გასდევს პარტიის ზრუნვა საბჭოთა ადამიანების ინტერესებისათვის.

**კოპენჰაგენი.** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი დანიის დედაქალაქის ყველა გაზეთის უურადღების ცენტრშია. გაზეთები აქვეყნებენ დეპეშათა სააგენტოებისა და საკუთარ კორესპონდენტთა დაწვრილებითს ცნობებს მოსკოვიდან, რომლებშიც ჩამოყალიბებულია ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების ძირითადი დებულებანი. „სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „ბერლინგსკე აფტენავისი“, — შეიძლება მოიპოვოს ისტორიული მნიშვნელობა. ყოველ შემთხვევაში ეს პლენუმი უნდა მივიჩნიოთ უკანასკნელი დროის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თათბირად“.

## ფიდელ კასტროს წერილი

### გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის შემასრულებლისადმი

**ჰავანა,** 20 ნოემბერი. (საკდესი). კუბის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის შემასრულებელს უ ტანს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ხაზს უსვამს, რომ კუბის მთავრობა არ უქმნის რაიმე დაბრკოლებას მოლაპარაკების, რომლის მიზანია მშვიდობიანად გადაეჭრას კრიზისი კარიბის ზღვის რაიონში.

სულ სხვა საქმეა ჩვენი დამოკიდებულება შეკარისა და შეურაცხყოფისადმი, რასაც მიმართავს შეერთებული შტატების მთავრობა, წერს კასტრო. შეერთებულმა შტატებმა მთელი საქმე გასხვერგრეს მოქმედების საშუალო რადიუსის „ალ-28“ ბომბდამშენთა პრობლემით, რომლებიც არის კუბის ტერიტორიაზე.

ეს თვითმფრინავები საბჭოთა კავშირის მთავრობას ეკუთვნის. ისინი კუბაში ჩამოტანილია ჩვენი ქვეყნის დასაცავად აგრესიის შემთხვევაში. რადგან მათი სიჩქარე დიდი არ არის და სიმაღლის ჭერიც დაბალია, ამასთანავე თუ მხედველობაში მივიღებთ საჰაერო დაცვის თანამედროვე საშუალებებს, ეს თვითმფრინავები მოძველებულთა კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ.

სრულიად ნათელია, რომ შეერთებული შტატების მთავრობის პოზიცია, რომელიც მოითხოვს ამ თვითმფრინავების გატანას, მხოლოდ იმით აიხსნება, რომ იგი ეძებს საბაბს, რათა შეინარჩუნოს დაძაბულობა, განაგრძოს კრიზისი და განახორციელოს ძალის პოლიტიკა. მიუხედავად ამისა, თუ საბჭოთა კავშირის მთავრობა მიიჩნევს, რომ მოლაპარაკების წარმატებითი მსვლელობისა და ახლანდელი კრიზისს გადაჭრისათვის მიზანშეწონილია ამ თვითმფრინავების გატანა, კუბის რევოლუციური მთავრობა არ შეუშლის ხელს ამ გადაწყვეტილებას.

ამავე დროს, ხათქვამია შემდეგ წერილში, შეერთებული შტატების მთავრობის მაღალი თანამდებობის პირებმა განაცხადეს, რომ შეერთებული შტატების სამხედრო თვითმფრინავები კვლავაც დაარღვევენ კუბის სუვერენიტეტს და შემოიჭრებიან ჩვენს საჰაერო სივრცეში.

ეს აგრესიული მოქმედება აშკარად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას.

კუბას აქვს კანონიერი და უდავო უფლება დაიცვას თავისი ტერიტორია ასეთი დარღვევათაგან. ჩვენ ერთხელ კიდევ ვიძლევით გაფრთხილებას, რომ ყველა სამხედრო თვითმფრინავს, რომელიც დაარღვევს ჩვენს საჰაერო სივრცეს, შემოფრინდება იქ, სადაც იგი შეიძლება დაანიანოს ჩვენი საჰაერო დაცვის სამუალებებმა, მოელის ჩამოგდების საფრთხე.

თუ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ თვითნებობის ერთ-ერთი ასეთი აქტის დროს მოხდა რაიმე ინციდენტი, პასუხისმგებლობა ამისათვის მთლიანად დაეკისრება შეერთებული შტატების მთავრობას.

ჩვენ ბაზა ვართ, აცხადებს კუბის პრემიერ-მინისტრი, უაღრესად გულწრფელად განვიხილოთ დაწვრილებითი დაწყვეტა, რომელიც გამოიწვევდა არსებული საერთაშორისო დაძაბულობის საბოლოო შენელებას... კუბა არასოდეს არ შეუშლის ხელს ყველაზთვის მისაღებ სამართლიან და პატიოსან გადაწყვეტას. კუბა მხოლოდ იცავს თავის სუვერენიტეტს, თავისი ხალხის თვითგამორკვევას ყველა სახელმწიფოს, როგორც დიდი ისე პატარა სახელმწიფოების იურიდიულ თანასწორობას, ყოველი ხალხის უფლებას იშოროს, იაროს პროგრესის გზით.

ყველამ უნდა იცოდეს რა გარდუვალ შედეგებს გამოიწვევს შეერთებული შტატების პოლიტიკა, თუ ამ ქვეყნის მთავრობამ, მიუხედავად საბჭოთა კავშირის ნათელი პოზიციისა და კუბის გადაწყვეტილებისა — იბრძოლოს მტკიცე მშვიდობისათვის, განაგრძო თავისი ძალადური მოქმედება ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ.

## ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადება

**პეკინი,** 21 ნოემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტომ გადასცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის შემდეგი განცხადება:

განვლილი ორი წლის მანძილზე ინდოეთის ჯარებმა გადალახეს ორივე მხარის—ჩინეთისა და ინდოეთის—ფაქტიური კონტროლის ხაზი ჩინეთ-ინდოეთის საზღვრის ჯერ დასავლეთ, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთ უბნებზე, თანდათანობით იკავებდნენ ჩინეთის ტერიტორიას, ქმნიდნენ აგრესიულ საყრდენ პუნქტებს და არაერთგზის გამოიწვიეს კონფლიქტი საზღვარზე. საკმაო მომზადების შემდეგ ინდოეთის ჯარებმა მათ მიერ დაკავებულ ხელსაყრელ სამხედრო პოზიციებზე დაყრდნობით, ბოლოს, 1962 წლის 20 ოქტომბერს დიდი მასშტაბით დაიწყეს საყოველთაო შეიარაღებული შეტევა ჩინეთის მესაზღვრე რაზმების წინააღმდეგ. უკვე ერთი თვეა გრძელდება ეს კონფლიქტი საზღვარზე, რომელიც წინასწარი განზრახვით გამოიწვია ინდოეთის მხარემ.

იმასთან დაკავშირებით, რომ ინდოეთის მხარე სულ უფრო აძლიერებდა შეჯრასა და პროვოკაციებს, ჩინეთის მთავრობას არაერთგზის გაუფრთხილებია და აღუნიშნავს, თუ რა სერიოზული ხასიათი ექნება ამ მოქმედების შედეგებს. საზღვარზე კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად ჩინეთის მესაზღვრე რაზმები თუდან იჩენდნენ უფიდეს თავშეკავებულობასა და მოთმინებას, მაგრამ ჩინეთის მხარის ყველა ეს ღონისძიება ამაო აღმოჩნდა. ინდოეთის მხარე არა თუ არ წყვეტდა თავის აგრესიულ საქმიანობას, არამედ აძლიერებდა მას. ბოლოს და ბოლოს, პირობებში, როცა აიესო მოთმინების ფიალა და შემდგომი უკან დახვევა შეუძლებელი გახდა, ჩინეთის მესაზღვრე რაზმებს ისღა დარჩათ, რომ მტკიცე პასუხი გაეცათ თავდაცვის მიზნით. მას შემდეგ, რაც საზღვარზე წარმოიშვა ახლადელი კონფლიქტი დიდ მასშტაბით, ჩინეთის მთავრობამ დაუყოვნებლივ გამოიჩინა ინიციატივა და ყოველი ღონისძიებით ცდილობდა ჩაქერო კონფლიქტის ხანძარი. 24 ოქტომბერს, ე. ი. ახლანდელი სასაზღვრო კონფლიქტის წარმოშობის მეოთხე დღეს, ჩინეთის მთავრობამ წამოაყენა სამი გონივრული წინადადება სასაზღვრო კონფლიქტის შეწყვეტის, მშვიდობიანი მოლაპარაკების განახლებისა და ჩინეთ-ინდოეთის საზღვრის საკითხის გადაჭრის შესახებ. ეს სამი წინადადება ასეთია:

1. ორივე მხარე აღნიშნავს, რომ ჩინეთ-ინდოეთის საზღვრის საკითხი უნდა გადაიჭრას მშვიდობიანად მოლაპარაკების გზით. ამ საკითხის მშვიდობიან გადაჭრამდე ჩინეთის მთავრობა იმედოვნებს, რომ ინდოეთის მთავრობა დათანხმდება ორივე მხარემ პატივი სცეს ორივე მხარის ფაქტიური კონტროლის ხაზს ჩინეთ-ინდოეთის საზღვრის მთელ სიგრძეზე და რომ ორივე მხარემ გაიყვანოს შეიარაღებული ძალები ამ ხაზიდან შესაბამისად 20 კილომეტრზე მათი ერთმანეთთან შეხვედრის თავიდან ასაცილებლად.

2. იმ შემთხვევაში, თუ ინდოეთის მთავრობა დაეთანხმება ზემოაღნიშნულ წინადადებებს, ჩინეთის მთავრობა მზად არის ორივე მხარეს შორის კონსულტაციების შემდეგ წაიყვანოს ფაქტიური კონტროლის ხაზის ჩრდილოეთისაკენ თავისი მესაზღვრე რაზმები, რომლებიც იმყოფებიან საზღვრის აღმოსავლეთ უბანზე; ამასთანავე ორივე მხარე — ჩინეთი და ინდოეთი ვალდებულებას კისრულობენ არ გადალახონ საზღვრის ცენტრალურ და დასავლეთ უბნებზე ფაქტიური კონტროლის ხაზი, ე. ი. ტრადიციული, ჩვეული ხაზი.

რაც შეეხება ორივე მხარის შეიარაღებული ძალების გაშორებისა და შეიარაღებული კონფლიქტების შეწყვეტის ღონისძიებებს, ჩინეთისა და ინდოეთის მთავრობები ავალებენ თავიანთ ოფიციალურ წარმომადგენლებს აწარმოონ მოლაპარაკება.

3. ჩინეთის მთავრობას მიაჩნია, რომ ჩინეთ-ინდოეთის საზღვრის საკითხის მეგობრული გადაჭრის ძიღწევის მიზნით კვლავ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს ჩინეთის პრემიერი და ინდოეთის პრემიერ-მინისტრი. ჩინეთის მთავრობა მოესალმება ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჩამოსვლას პეკინში ორივე მხარისათვის შესაფერის დროს. თუ ეს მოუხერხებელი იქნება ინდოეთის მთავრობისათვის, მაშინ ჩინეთის პრემიერი მზად არის გაემგზავროს დელის მოლაპარაკების საწარმოებლად.

იმავე დღეს, როცა ჩინეთის მთავრობის სამი წინადადება ეცნობა ინდოეთის მთავრობას, მან სასწრაფოდ უარყო ეს წინადადებანი და დაეინებით მოითხოვდა, რომ ჩინეთის მთავრობა დათანხმდეს აღადგინოს 1962 წლის 8 სექტემბრამდე არსებული მდგომარეობა საზღვარზე. ეს ნიშნავს, რომ ინდოეთი აპირებს კვლავ მოახდინოს ჩინეთის ვრცელი ტერიტორიის ოკუპაცია და, ამრიგად, შესაძლებლობა მისცეს ინდოეთის ჯარებს კვლავ განახორციელონ ყოველ დროს და დიდი მასშტაბით შეიარაღებული შეტევა ჩინეთის მესაზღვრე რაზმების წინააღმდეგ. 14 ნოემბერს პრემიერ-მინისტრმა ნერუმ თავის სამასუხო წერილში პრემიერ ჯოუ ენ-ლაისადმი წამოაყენა კიდევ უფრო უგუნური მოთხოვნები. ერთი მხრივ, იგი მოითხოვს, რომ ჩინეთის მთავრობა დათანხმდეს და აღადგინოს მდგომარეობა, რომელშიც იყვნენ ინდოეთის ჯარები 8 სექტემბრამდე, ხოლო მეორე მხრივ — იგი მოითხოვს, რომ ჩინეთმა წაიყვანოს თავისი მესაზღვრე რაზმები ორი მარტო იმ ადგილამდე, რომელშიც. იყვნენ 8 სექტემბრამდე, არამედ დასავლეთ უბანში — ეგრეთწოდებულ 1959 წლის 7 ნოემბრამდე არსებულ ადგილამდე, რომელიც ცალმხრივად დანიშნა ინდოეთმა ჩინეთის მესაზღვრე რაზმებისათვის. ეს ნიშნავს, რომ იგი მოითხოვს ჩინეთმა დათმოს კიდევ 5-6 ათასი კვადრატული მილი ფართობი, ესე იგი 13-15 ათასი კვადრატული კილომეტრი. ამასთანავე ინდოეთის მთავრობამ, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების დიდ სამხედრო დახმარებას ეყრდნობა, კვლავ გააჩაღა მძლავრი შეტევა ჩინეთ-ინდოეთის საზღვრის აღმოსავლეთ და დასავლეთ უბნებზე, რითაც წინასწარი განზრახვით აფართოებს სასაზღვრო კონფლიქტს. სრულებთაც არ არის შემთხვევითი, რომ ინდოეთის მთავრობას უკავია ესოდენ უაღრესად უგუნური პოზიცია. საშინაო და საგარეო პოლიტიკის საჭიროების შესაბამისად, ინდოეთის მთავრობა უკვე დიდი ხანია ახორციელებს პოლიტიკას— განზრახ ტოვებს გადაუჭრელად ჩინეთ-ინდოეთის საზღვრის საკითხს, ინარჩუნებს ორივე ქვეყნის შეიარაღებული ძალების პირისპირ დგომას და დაძაბულობას ჩინეთ-ინდოეთის საზღვარზე. ასეთ სიტუაციას ინდოეთის მთავრობა იყენებს იმისათვის, რომ მოახდინოს შეიარაღებული შეჭრა და შეიარაღებული პროვოკაციები ჩინეთ-ინდოეთის საზღვარზე შეიარაღებული კონფლიქტების ატეხამდეც კი ყოველ შემთხვევაში, რომელიც ხელსაყრელად მიაჩნია თავისთვის. ხოლო იმ მოტენტში, რომელიც ხელსაყრელად არ მიაჩნია, ამ სიტუაციას გამოიყენებს, რათა აწარმოოს ცივი ომი ჩინეთის წინააღმდეგ. მრავალი წლის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ინდოეთის მთავრობა ყოველთვის ცდილობს ყველა საშუალებით გადაუღობოს გზა, როდესაც ჩინეთის მთავრობამ გაკაფა, ჩინეთ-ინდოეთის საზღვრის საკითხის მშვიდობიან გადაჭრას. ინდოეთის მთავრობის ასეთი პოლიტიკა სავსებით ეწინააღმდეგება ჩინეთისა და ინდოეთის ხალხთა ძირეულ ინტერესებს და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა საერთო მისწრაფებებს და ხელსაყრელია მხოლოდ იმპერიალიზმისათვის.

ჩინეთის მთავრობის სამი წინადადება ყველაზე სამართლიანი და ყველაზე გონივრული წინადადებანია, ისინი ერთადერთი წინადადებანია, რომლებიც შესაძლებელს გახდიან აღიკვეთოს სასაზღვრო კონფლიქტი, უზრუნველყოფილ იქნეს სიმშვიდე საზღვარზე და მშვიდობიანად გადაიჭრას ჩინეთ-ინდოეთის საზღვრის საკითხი. ჩინეთის მთავრობა მტკიცედ მოითხოვს ამ სამი წინადადების შესრულებას. მაგრამ ინდოეთის მთავრობა დღესაც ჯერ კიდევ უარყოფს ამ სამ წინადადებას და კვლავ აფართოებს სასაზღვრო კონფლიქტს, რის შედეგად სულ უფრო სერიოზული ხდება მდგომარეობა ჩინეთ-ინდოეთის საზღვარზე. იმისათვის, რომ მოახდინოს მობრუნება ასეთ ვითარებაში, ჩინეთის მთავრობამ გადაწყვიტა საკუთარი ინიციატივით განახორციელოს ღონისძიებანი ამ სამი წინადადების შესრულების ხელშეწყობის მიზნით.

ამით ჩინეთის მთავრობა აცხადებს:

1. ამ განცხადების გამოქვეყნების მეორე დღიდან, ესე იგი 1962 წლის 22 ნოემბრის 00 საათიდან, ჩინეთის მესაზღვრე რაზმები შეწყვეტენ ცეცხლს ჩინეთისა და ინდოეთის მთელ სასაზღვრო ხაზზე.

2. 1962 წლის 1 დეკემბრიდან განხორციელდება ჩინეთის მესაზღვრე რაზმების გაყვანა 20 კილომეტრზე ფაქტიური კონტროლის ხაზიდან, რომელიც არსებობდა ჩინეთსა და ინდოეთს შორის 1959 წლის 7 ნოემბრისათვის.

ჩინეთის მესაზღვრე რაზმები დღესაც ახორციელებენ თავდაცვის მიზნით კონტრშეტევას ჩინეთის ტერიტორიაზე ტრადიციული ჩვეული ხაზის ჩრდილოეთით, ისინი მაინც მზად არიან განახორციელონ გაყვანა ახლანდელი დანაბაკების ადგილიდან ადგილამდე, რომელიც მდებარეობს ფაქტიური კონტროლის ხაზის, ესე იგი მაკმაგონის უკანონო ხაზის ჩრდილოეთით, და განახორციელონ გაყვანა კიდევ უფრო მორს 20 კილომეტრზე ამ ხაზიდან.

ჩინეთის ცენტრალურ და დასავლეთ უბნებზე განხორციელდება ჩინეთის მესაზღვრე რაზმების გაყვანა 20 კილომეტრზე ფაქტიური კონტროლის ხაზიდან.

3. რომ უზრუნველყოს ამ სასაზღვრე რაიონების მცხოვრებთა ნორმალური მიმოსვლა ჩინეთსა და ინდოეთს შორის, თავიდან აიცილოს დივერსანტთა საქმიანობა და დაიცვას წესრიგი საზღვარზე, ჩინეთი შექმნის სასაზღვრო საგუშაგოს ზოგიერთ ადგილს თავის მხარეზე ფაქტიური კონტროლის ხაზიდან, ყოველ სასაზღვრო საგუშაგოზე გარკვეული რაოდენობით დაინიშნება სახალხო მილიციელი. ჩინეთის მთავრობა დიპლომატიური არხების საშუალებით აცნობებს ინდოეთის მთავრობას ზემოაღნიშნული სასაზღვრო საგუშაგოების ადგილმდებარეობას.

ამ ღონისძიებებით, რომლებიც ჩინეთის მთავრობამ მიიღო საკუთარი ინიციატივით, გამოხატულებას პოულობს ჩინეთის მთავრობის ყველაზე გულწრფელი მისწრაფება შეწყდეს კონფლიქტი საზღვარზე და მშვიდობიანად გადაიჭრას ჩინეთ-ინდოეთის საზღვრის საკითხი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ გაყვანის შემდეგ ჩინეთის მესაზღვრე რაზმები გაცილებით შორს იქნებიან ინდ ადგილებიდან, სადაც იმყოფებოდნენ 1962 წლის 8 სექტემბრამდე. ჩინეთის მთავრობა იმედოვნებს, რომ ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა შედეგად, რომლებიც ჩინეთმა მიიღო საკუთარი ინიციატივით, ინდოეთის მთავრობა გაითვალისწინებს ინდოეთი ხალხისა და მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხთა სურვილებს, შეცვლის თავის პოზიციას და აქტიურად გამოეხმაურება ამ ღონისძიებებს. ეს შემთხვევაში, თუ ინდოეთის მთავრობა დათანხმდება და მიიღებს შესაბამის ღონისძიებებს, ჩინეთისა და ინდოეთის მთავრობებს დაუყოვნებელივ შეუძლიათ დანიშნონ ოფიციალური წარმომადგენლები, რომლებიც შეხვდებიან ერთმანეთს ორივე მხარის მიერ შეთანხმებულ ადგილას ჩინეთ-ინდოეთის საზღვრის ყველა უბანზე, რათა აწარმოონ მოლაპარაკება იმ საკითხებზე, რომ გაიყვანონ ორივე მხარის შეიარაღებული ძალების შესაბამისად 20 კილომეტრზე. დემილიტარიზებული ზონის შესაქმნელად და ორივე მხარემ შეკმნას სასაზღვრო საგუშაგოები თავის მხარეზე ფაქტიური კონტროლის ხაზიდან და ტყეთა გადაცემისათვის.

როცა ორივე მხარის ოფიციალურ წარმომადგენელთა მოლაპარაკება მოიტანს შედეგებს და როცა ეს შედეგები განხორციელდება, ორივე ქვეყნის პრემიერ-მინისტრები შეძლებენ დაიწყონ მოლაპარაკება, ჩინეთ-ინდოეთის საზღვრის საკითხის მეგობრული გადაჭრის გზების შემდგომი ძიებისათვის. ჩინეთის მთავრობა მიესალმება ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჩამოსვლას პეკინში; თუ ეს უხერხული იქნება ინდოეთის მთავრობისათვის, ჩინეთის პრემიერი მზად არის გაემგზავროს დელიში მოლაპარაკების საწარმოებლად.

ჩინეთის მთავრობა მთელი გულწრფელობით იმედოვნებს, რომ ინდოეთის მთავრობა აქტიურად გამოეხმაურება მის წინადადებებს. თუ ინდოეთის მთავრობა ვერ შეძლებს დროზე გამოეხმაუროს ამ ამას, ჩინეთის მთავრობა დასახულ ვადაში მაინც განახორციელებს საკუთარი ინიციატივით ზემოაღნიშნულ ღონისძიებებს. მაგრამ ჩინეთის თავთრობას არ შეუძლია არ გაითვალისწინოს ქვემოთ მოყვანილი გარემოებანი, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას: 1. ჩინეთის მესაზღვრე რაზმების მიერ ცეცხლის შეწყვეტას შემდეგ და მათი გაყვანის მსვლელობაში ინდოეთის ჯარები გახდებიან თავიანთ შეტევას, 2. ჩინეთის მესაზღვრე რაზმების გაყვანის შემდეგ ფაქტიური კონტროლის მთელი ხაზიდან 20 კილომეტრზე ინდოეთის ჯარები აღმოსავლეთ უბანზე კვლავ წინ წაელენ ფაქტიური კონტროლის ხაზამდე, ესე იგი მაკმაგონის უკანონო ხაზამდე. ხოლო ცენტრალურ და დასავლეთ უბნებზე ისინი დარჩებიან ფაქტიური კონტროლის ხაზზე და არ განახორციელებენ გაყვანას. 3. ჩინეთის მესაზღვრე რაზმების გაყვანის შემდეგ ფაქტიური კონტროლის მთელი ხაზიდან 20 კილომეტრზე, ინდოეთის ჯარები გადალენ ფაქტიური კონტროლის ხაზს და აღადგენენ თავიანთ განლაგებას, რაც არსებობდა ბიმდინარე წლის 8 სექტემბრამდე, ესე იგი აღმოსავლეთ უბანზე კვლავ გადალენ მაკმაგონის უკანონო ხაზს და ხელთ იგდებენ ამ ხაზის ჩრდილოეთით მდებარე მდინარე კეჩილანგის რაიონს, ცენტრალურ უბანზე კვლავ ხელთ იგდებენ უკეს, ხოლო დასავლეთ უბანზე აღადგენენ 43 აგრესიულ საყრდენ პუნქტს, რომლებიც ინდოეთის ტერიტორიაზე მდებარეობს მდინარე ჩიპჩაპის ხეობაში, მდინარე გალვანის ხეობაში, პანგონგის ტბის რაიონში და დემჩოკის რაიონში, ან შექმნიან იქ კიდევ უფრო აგრესიულ საყრდენ პუნქტებს. ჩინეთის მთავრობა მთელი სერიოზულობით აცხადებს: თუ შეიქმნება ზემოაღნიშნული გარემოებანი, ჩინეთი დაიტოვებს უფლებას გაუწიოს წინააღმდეგობა თავდაცვის მიზნით, ხოლო ინდოეთის მთავრობას უნდა დაეკისროს სრული პასუხისმგებლობა აქედან გამომდინარე ყველა სერიოზული შედეგისათვის. მთელი მსოფლიოს ხალხები კიდევ უფრო ნათლად დარწმუნდებენ, ვის უყვარს მშვიდობა და ვის სურს ომი; ვინ იბრძვის ჩინეთისა და ინდოეთის ხალხთა მეგობრობის შენარჩუნებისა და აზიისა და აფრიკის ქვეყნების შეკავშირებისათვის და ვინ უთხრის ძირს ჩინელი და ინდოელ ხალხების მეგობრობას, ვინ უთხრის ძირს აზიისა და აფრიკის ქვეყნების შეკავშირებას; ვინ იცავს აზიისა და აფრიკის სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა საერთო ინტერესებს იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და ვინ არღვევს და უთხრის ძირს ამ საერთო ინტერესებს.

ჩინეთ-ინდოეთის საზღვრის საკითხი აზიის ორი ქვეყნის საკითხია. ჩინეთმა და ინდოეთმა უნდა გადაჭრან იგი მშვიდობიანი საშუალებებით, და მის გამო არ უნდა მივიდეს ძალის გამოყენებამდე, მით უმეტეს არ უნდა დაუშვან ამერიკის იმპერიალიზმის ჩარევა და ახლახდელი საშინელი სასაზღვრო კონფლიქტის გადაქცევა ომად, რომელშიც აზიელები იომებენ აზიელების წინააღმდეგ. მიიღო რა ეს დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება გულდასმით მოფიქრების შემდეგ, ჩინეთის მთავრობა ითვალისწინებს ჩინელი და ინდოელი ხალხების ძირეული ინტერესების შენარჩუნების, აზიისა და აფრიკის ქვეყნების შეკავშირების განმტკიცებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფის თანამშრომლურულ პოზიციას, ჩინეთის მთავრობა მოუწოდებს აზიისა და აფრიკის ქვეყნებს და ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანასა და ხალხს — ყოველი ღონე იხმარონ და მოახდინონ გავლენა ინდოეთის მთავრობაზე, რათა მან მიიღოს შესაბამისი ღონისძიებანი სასაზღვრო კონფლიქტის შეწყვეტისათვის, მშვიდობიანი მოლაპარაკების განახლებისა და ჩინეთისა და ინდოეთის საზღვრის საკითხის გადაჭრისათვის.

## ინდოეთი

### ინდოეთ-ჩინეთის საზღვარზე

**ინდოეთი.** 23 ნოემბერი. (ტელეფონით სპეც. კორ.). დღეს აქ გაიმართა სსრ კავშირის XXX საიუბილეო საჭადრაკო ჩემპიონატის პირველი ტური.

გროსმაისტერი ვ. კორჩნოი წარმატებით იბრძოდა ოსტატ ა. ზაიცევის წინააღმდეგ და 29-ე სვლაზე დაამარცხა მეტოქე. ი. ზაიცევმა არც თუ ცუდ პოზიციაში დროს გადაიცვალა მ. ტალინოვთან პარტიაში და წაგება ჩაეთვალა. ი. კოც-ლ. შტეინის, ა. სუეტინ-ე. მნაცაკანიანის, ვ. ბონდარენკო-ა. ტოროსიანი, ვ. საბონ-ლ. ბრონშტეინ-ბალიერში ფიქსირებულ ფრაგმენტი.

## ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

### რიგის ტურნირის სტარტი

**რიგაში** დაიწყო სსრ კავშირის პირველობის გათამაშება ჭადრაკში ქალთა შორის. მასში მონაწილეობენ ცნობილი მოჭადრაკეები — ვ. ბორისენკო, კ. ზვორიკინა, ლ. ვოლპერტი, ზ. ნახიმოვსკაია და სხვ. საქართველოდან გამოდიან ე. კაკაბაძე და ა. ჩაიკოვსკაია.

მძაფრი ბრძოლა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონს ვ. ბორისენკოს ტ. ფილანოვსკაიასთან. ამ პარტიაში ფიქსირებულ იქნა ყაიმი. წარმატებით აიღო სტარტი ლ. ვოლპერტმა, რომელმაც პირველ ტურში დაამარცხა მინსკელი გ. არჩაკოვა. ლ. ბელავენეცმა მოუგო ვ. როფლაპის, ზ. ნახიმოვსკაიამ — ე. კაკაბაძეს, კ. ზვორიკინამ — ლ. ანდრეევას. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

გუშინ შედგა მეორე ტური.

### კიდევ ორი გამარჯვება

**საბჭოთა** კალათბურთელების ტურნე ამერიკას შეეთებულ შტატებში საერთო ყურადღებას იპყრობს. ამერიკელებს თავიანთ მიწა-წყალზე ასეთი წარუმატებლობა არ ახსოვთ, ისინი ზედიზედ განიცდიან დამარცხებას საბჭოთა კალათბურთელებთან შეხვედრაში.

და აი მოეგებულია ცნობა მორიგ წარმატებათა შესახებ, საბჭოთა კალათბურთელებმა კიდევ ორი გამარჯვება მოიპოვეს — ჩვენმა ქალთა გუნდმა დაამარცხა სტუდენტთა ნაკრები 50:40, ხოლო ვაჟთა გუნდმა მოუგო ამ ქვეყნის ნაკრებს 06:63.

### წარმატებანი და... სინანული

**საბჭოთა** კავშირის ჰოკეისტთა ნაკრების გამოსვლამ კანადაში და ზედიზედ გამარკვევამ ადგილობრივ სპორტის მოყვარულთა მოწონება დაიმსახურა.

მაგრამ მორიგ, რიცხვით მეზუთე მატჩში ამ ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს საკლუბო გუნდთან ჩვენმა ნაკრებმა მოულოდნელი დამარცხება განიცადა ანგ